

სოფოკლე

ელექტრა

[57]

დრამის მოქმედი პირნი
გამზრდელი
ორესტესი
ელექტრა
მიკენელ ქალწულთა ქორო
ქრისოთემისი
კლიტემნესტრა
ეგისტოსი

პროლოგი

გამზრდელი

აგამემნონის ვაჟიშვილო, მთავარსარდალის,
ტროასთან ლაშქარს რომ უძღოდა, შენ აქ მოსულხარ
და ხედავ იმას, რასაც ასე დიდხანს ნატრობდი.
აჰა, არგოსის ძველთაძველი და წმინდა ტევრი,
სად ინაქოსის ქალიშვილი [58] ბორგავდა შლეგად;
ეს კი, ორესტეს, მგლის აგორა [59] არის უთუოდ,
მგელთამმუსვრელი [60] ლიკეოსის – ჩვენი მეუფის.
მარცხნივ კი ჰერას ტაძარია სახელგანთქმული.
ეჭვი არ არის, ოქრომრავალ მიკენს ვუყურებთ,
პელოპიდების [61] მრავალტანჯულ სასახლის კედლებს.
მე წაგიყვანე შენ აქედან, როდესაც ასე
უწყალოდ მოკლეს მამაშენი. შენმა დამ მომცა
მე შენი თავი, დაგიხსენი და ვაჟკაცადაც
მე გამოგზარდე. მაშ, იძიე შური მამისთვის,
დრო არის უკვე. ორესტეს, და უცხოთა შორის
უძვირფასესო მეგობარო, შენაც, ო, პილადეს,
მსწრაფლ გადავწყვიტოთ ვით მოვიქცეთ, მანათობელი
უკვე ამოდის მზე ცარგვალზე და ფრინველების
ტკბილი გალობა კვლავ ადვილებს ამ არემარეს,
ვარსკვლავიანი შავი ღამეც ნათდება თითქმის.
სანამ არავინ გამოსულა ამ სასახლიდან,
მოითათბირეთ, აღარ არის ფიქრის დრო უკვე.
შურისგების და მოქმედების მომდგარა ჟამი.
ორესტესი

უსაყვარლესო მსახურთაგან, შენი ჩემდამი
 ამ ერთგულებას ცხადზე ცხადი ნიშნებით ვხედავ.
 რადგან ისევე, როგორც წმინდა სისხლის ქურანი,
 თუნდაც ბებერი, არ გიმტყუნებს გაჭირვებაში,
 არამედ ყურებს დაცქვეტს მყისვე, შენაც ასევე
 ჩვენ გვაქვებ და თავადაც შენ წინ მიგვიძღვები,
 ჰოდა, მეც სწორედ შენ გაგიმხელ ჩანაფიქრს ჩემსას.
 შენ კი მთელი ყურადღებით მომისმინე, და თუ რამე
 არასწორი გითხრა, შემისწორე. როდესაც პითიურ სამისნოში
 მივედი, რათა შემეტყო, რა გზით მეძია სამართლიანი შური
 მამის მკვლელებზე, ფოიბოსმა უმაღვე მაუწყა, რა უნდა
 მექნა: ჩემით, ყოველგვარი საჭურვლისა და ჯარის გარეშე,
 მოხერხებულობით, თვითონ უნდა ავასრულო სამართლიანი
 მსჯავრი. ასე რომ, რახან ვიცით ეს მისნობა, შენ წადი და
 როცა მოსახერხებლად ჩათვლი, მათ სახლში შედი, შეიტყვე
 ყველაფერი, რაც იქ ხდება, რათა ყველაფერს ცხადად
 მოგვიყვე; ვერ გიცნობენ მოხუცებულს, დიდი ხანი გავიდა
 უკვე. ეჭვს ვერავინ მიიტანს შენზე, ასე თმათეთრზე.
 უთხარი, თითქოს უცხო ვინმე ხარ, ფოკისიდან ფანოტევის
 მიერ გამოგზავნილი; აკი ფანოტევი მათი უმთავრესი
 მეკავშირეა. ასეთი რამ აუწყე და ფიცითაც განუმტკიცე შენი
 ნათქვამი, რომ თითქოს უიღბლო შემთხვევის გამო დაიღუპა
 ორესტესი. თითქოს პითიურ თამაშებზე ^[62] მივედი, რათა შემეტყო, რა გზით მეძია
 სამართლიანი შური
 მამის მკვლელებზე, ფოიბოსმა უმაღვე მაუწყა, რა უნდა
 მექნა: ჩემით, ყოველგვარი საჭურვლისა და ჯარის გარეშე,
 მოხერხებულობით, თვითონ უნდა ავასრულო სამართლიანი
 მსჯავრი. ასე რომ, რახან ვიცით ეს მისნობა, შენ წადი და
 როცა მოსახერხებლად ჩათვლი, მათ სახლში შედი, შეიტყვე
 ყველაფერი, რაც იქ ხდება, რათა ყველაფერს ცხადად
 მოგვიყვე; ვერ გიცნობენ მოხუცებულს, დიდი ხანი გავიდა
 უკვე. ეჭვს ვერავინ მიიტანს შენზე, ასე თმათეთრზე.
 უთხარი, თითქოს უცხო ვინმე ხარ, ფოკისიდან ფანოტევის
 მიერ გამოგზავნილი; აკი ფანოტევი მათი უმთავრესი
 მეკავშირეა. ასეთი რამ აუწყე და ფიცითაც განუმტკიცე შენი
 ნათქვამი, რომ თითქოს უიღბლო შემთხვევის გამო დაიღუპა
 ორესტესი. თითქოს პითიურ თამაშებზე
 შენ კი, მოხუცო, წადი ეხლა და შეეცადე
 ის შენი ვალი ადასრულო. აჰა, მივდივართ.

შესაფერისი დროა ეხლა, შესაფერისი
დრო კი კაცთათვის მთავარია ყოველ საქმეში.

ელექტრა

ვაი, მე უბედურს,

გამზრდელი

შვილო, მე მეჩვენება, რომ სასახლეში მოახლეთაგან ვიღაც
ტირის.

ორესტესი

საბრალო ელექტრა ხომ არ არის? თუ გსურს, მოვიცადოთ
და ყური მივუგდოთ ქალის მოთქმას.

გამზრდელი

ო, არავითარ შემთხვევაში. პირველ ყოვლისა,
სჯობს აპოლონის აღვასრულოთ ღვთიური ნება.
ვაკურთხოთ მამის საფლავი და... ეს მიანიჭებს
ჩვენს წამოწყებას სიმტკიცეს და სრულ გამარჯვებას.

ელექტრა

შენ, ო, მზის უმწიკვლო ნათელი! ჰოი, შენ მიწას
გარშემორტყმულო ჰაერო! ნუთუ არ გესმით როგორ
ვოხრავ და არ გესმით, როგორ ვქვითინებ, თუ როგორ
სისხლისდენამდე ვიცემ მკერდში მჯილს, როგორც კი
გასრულდება შავბნელი ღამე! ხოლო რაც შეეხება ჩემს
ღამეულ დღესასწაულებს, ამაზე ჩემს უბედურ სახლში ჩემმა,
ჩემთვის საძულველმა საწოლმა იცის მხოლოდ და მხოლოდ,
თუ რამდენს ვტირი ბედკრულ მამაზე, რომლის სიცოცხლე
თვით სისხლიანმა არესმაც კი არ მიიღო უცხოთა
მიწაზე, დედაჩემმა და მისი სარეცლის მოზიარე ეგისტოსმა
სისხლიანი ნაჯახით ისე გაუპეს მას თავი, ხისმჭრელები რომ
აპოზენ მუხას. ჩემს გარდა არავინ წუხს იმაზე, რომ შენ,
მამა, სამარცხვინო და საბრალო სიკვდილით მოკვდი. არა,
არ შევწყვეტ ტირილსა და მოთქმას, სანამ ვარსკვლავთა
ნათელ შუქს ვხედავ, სანამ ვხედავ ამ დღეს. ისევე, როგორ
ბუღბული, რომელსაც ბარტყი დაუკარგავს, არ გავჩერდები.
მე ვიტყვებ აქ, მამისეული სახლის კართან, როგორც ექო,
ყველას გასაგონად ვიტყვი ჩემს სათქმელს.
ო, სასახლეო, ჰადესისა და პერსეფონეს,
მიწისქვეშეთის ჰერმესო და მეუფე არავ,
ღმერთების წმინდა ასულებო ერინიებო,
რომლებიც ხედავთ, უსამართლოდ თუ ვის ღუპავენ,
რომლებიც ხედავთ, თავის ლოგინს თუ ვის ჰპარავენ,

მოდით ჩემთან და შემეწიეთ...
შური იმიტო მამაჩემის უღვთო მკვლევებზე,
ჩემი ძმა ჩემთან მოიყვანეთ! ძალა აღარ მაქვს,
რომ ჩემი მხრებით ისევ ვზიდო ეს მიძმე ტვირთი,
ტვირთი სასტიკი მწუხარებისა.

პაროდოსი

ქორო

სტროფი – 1

ბოროტი დედის შვილო, ელექტრა, ნუთუ, სულ უნდა იტირო
იმის გამო, რომ შენმა უღმერთო დედამ თავისი ბოროტი
ხელებით ხაფანგში მოიმწყვდია და სასიკვდილოდ გაწირა
აგამემნონი? დაე, სიკვდილი ერგოთ დამნაშავეებს, თუკი
ასეთი თხოვნა დასაშვებია.

ელექტრა

კეთილშობილო გოგონებო, ამგვარი სიტყვებით მინელებთ
მწუხარებას. ვიცი და ვხედავ თქვენს თანადგომას. მე არ
მსურს მივატოვო ამაზე წუხილი, არ მსურს მივატოვო გლოვა
ჩემს საწყალობელ მამაზე. დაე, ჩვენც ერთად ვიყოთ ყოველ
საქმეში ხელს ნუ შემიშლით, ჩემი საგლოვო რომ ვიგლოვო.

ქორო

ანტი-სტროფი – 1

ჰო, მაგრამ, აკი ველარავინ დააბრუნებს მამაშენს ჰადესის
ყურედან, ყველა მოკვდავის საერთო თავშესაფრიდან. ვერც
ლოცვებით და ვერც ოხვრა-კვნესით. შენი გაუთავებელი
ტანჯვით, შენი მოუღლელი გლოვით შენსავე თავს
ისპობ. ოხვრა-კვნესაში როდია ხსნა უბედურებისაგან!
შენ თვითონ რაღატომ დაემებ ტკივილს.

ელექტრა

ლატაკია გონებით, ვინც სამარცხვინოდ მოკლულ მშობლებს
ივიწყებს. ჩემი გული დაუპყრია მწარედ მომღერალ ზევსის
ფრინველს – მის მაცნეს, რომელიც იტისზე^[63] მღერის, მუდამ
მღერის იტისზე. ო, ნიობე^[64], ბედკრულო დედავ, მე შენ
გაღმერთებ, შენ, ვინაც კლდოვან სამარეში ტირი მუდმივად.

ქორო

სტროფი – 2

ასულო, განა მხოლოდ შენ შეგხვდა
უბედურება მოკვდავთა შორის.
თუმცა, ყველაზე დიდი ვარამი

მაინც შენ გერგო ნათესავთაგან.
ცხოვრობენ ქრისოთემისი და იფიანასა^[65],
ის ბედნიერიც, ვისი სიყრმეც სავსეა დარდით,
ვისაც ერთხელაც სახელგანთქმული
მიკენის მიწა მიიღებს, როგორც
უფლისწულსა და კეთილს – ორესტესი,
დიდი ზევსისგან სვე-ნაბიჯით რომ დაბრუნდება.

ელექტრა

მოუთმენლად ველი მას. ველი მე, უშვილო, საწყალობელი
გაუთხოვარი, ცრემლშეუმშრალი, სიავეთა შორის ყველაზე
ავი ხვედრის მქონე, მას კი დავიწყნია ის, რაც მე გადავიტანე
და რაც მე განვიცადე. რა შემიტყვია მე ისეთი კეთილი
ამბავი, კეთილად რომ ასრულებულიყო?! მუდამდღე
დაბრუნებას ნატრობს იგი, ნატრობს და მაინც არა ჩანს.

ანტიკტროფი – 2

ქორო

ნუ გეშინია, მე დამიჯერე,
ბაღლო, ავიდა ზეცაში სუფევს
ყოვლისმპყრობელი დიადი ზევსი.
იმას მიანდე ეგ შენი რისხვა,
ნურც დაიტანჯავ თავს იმ ვალზე, ნურც დაივიწყებ...
ისევ და ისევ დრო არის ყოვლისმომწყობელი ღმერთი,
აკი არც აგამემნონის შვილი არის უდარდელად კრისეს^[66]
მხარეში, სადაც უმდიდრესი სამოვრებია და არც აქერონის^[67]
მეუფე ღმერთია გულარხეინად.

ელექტრა

ჩემი უიღბლო ცხოვრების დიდმა
ნაწილმა უკვე მარტო დამტოვა.
ძალაც აღარ მაქვს, უმშობლებოდ ვდნები დარდისგან.
მოყვასი ქმარი მე ვერ დამიცავს.
ისე, ვით ვინმე უცხო ხიზანი
ვაღაგებ ხოლმე მამის პალატებს.
და დაფლეთილი ძველმანი კაბით
დაცლილ მაგიდებს ვუვლი გარშემო.

ქორო

საწყალობელი ხმა^[68] გაისმა იმ შეხვედრისას და ნადიმის
დროსაც, მაშინ, როდესაც სპილენძის ნაჯახით განგმირეს
აგამემნონი. მზაკვრობამ და ერთმანეთის სიყვარულმა
უბიძგა მათ და საშინელი მკვლელობა ერთად ჩაიდინეს, –

რა მნიშვნელობა აქვს, თუ ვინ იყო ამ საშინელების
წამომწყები – ღმერთი თუ მოკვდავი.

ელექტრა

დღეო! ჩემი ბედკრული ცხოვრების! ყველაზე საძაგელო
ღამეო, ენით უთქმელო ნადიმო! გლოვის სიმძიმე!
გადაჭდობილი ხელებისაგან ერგო მამაჩემს სამარცხვინო
სიკვდილი. ჩემი სიცოცხლეც მაშინ წავიდა... გამყიდეს...
გამწირეს მე... შენ, ო, ოლიმპოსელთაგან უდიდესო ღმერთო,
ბოროტებისათვის ბოროტებითვე მიუზღე მათ! დაე,
არასოდეს ეღირსოს სიხარული ამ საქმის ჩამდენთ!

ქორო

ანტიტროფი – 3

თავი შეიკავე ზედმეტი სიტყვებისგან, განსაჯე, რა
უსამართლოდ იძირები შენს მწუხარებაში. თვითონ შენა ხარ
ამის მიზეზი. თვითონ შენ შეჰმატე უბედურებას უბედურება.
შენ ისევ და ისევ ომს აპირებ შენს უმწეო სულში...
აზრი არა აქვს პაექრობას უძლიერესთან.

ელექტრა

საშინელებამ მაიძულა საშინელებამ! ვიცი, ვერ ვიკავებ
სიშმაგეს, მაგრამ თავს არ დავანებებ წყევლას, სანამ
ცოცხალი ვარ. კეთილშობილო მეგობრებო, ნეტა
გონიერთაგანი ვინ მეტყოდა, ისეთ სიტყვას, მე რომ
დამამშვიდოს? კმარა, კმარა ჩემი დამშვიდება. ჩემს
მწუხარებას არა აქვს ბოლო. არასოდეს შევწყვეტ მწუხარე
გლოვას. აურაცხელი ცრემლით უნდა ვიტვირო.

ქორო

ეპოდოსი

მე კი კეთილი ზრახვით გეტყვი,
თითქოსდა ღვიძლი დედა ვარ შენი,
ნუ გაამრავლებ წყევლისგან წყევლას...

ელექტრა

ნეტავი თუ აქვს საზღვარი ბოროტებას? მითხარი,
განა უნდა დავივიწყო გარდაცვლილი ახლობელნი? კაცთაგან
ნეტა ვინ გაამართლებს ამგვარ საქციელს? ამგვართაგან
არც პატივისცემა მსურს და, დაე, ნუ ვეღირსები მე
ბედნიერებას, თუკი ჩემს მოთქმას ფრთას შევუკვეც და ამით
მამაჩემს არ დავამშვიდებ.

მკვდარია იგი და მიწად იქცა,
არარად იქცა იგი მიწაში,
ხოლო მკვლელები სასჯელს გაექცნენ,
მაშ, არც სირცხვილი, და არც სინდისი

არა ჰქონია მოკვდავ კაცთაგან
ქვეყნად არავის.

ქორო

შვილო, მე მოვსულვარ და ვფიქრობ შენსა და ჩემს
კეთილდღეობაზე;
მაგრამ თუ ჩემი რჩევა კარგი არ არის და გამარჯვება შენს
მხარეზეა, – შენ გამოგყვებით.

ელექტრა

მრცხვენია, ასულნო; თქვენ ალბათ ჩემი საშინელი მოთქმის
გამო ჩემს მწუხარებას უსაშველოდ მიიჩნევთ. მაგრამ რახან
მე გარემოება მაიძულებს ამას, თქვენც გაგებით მომეკიდეთ.
განა ყველა კეთილშობილ ქალს, ვინაც მშობლიური სახლის
უბედურებას ხედავს, არ შეუძლია იგივეს გაკეთება?!
უბედურებას, რომელიც, როგორ მე ვხედავ,
უფრო იფურჩქნება, ვიდრე ჭკნება. ჯერ ერთი, დედაჩემის
დამოკიდებულება ჩემს მიმართ, დედაჩემისა, რომელმაც
მე გამაჩინა, უსაზღვროდ მტრულია. და მერე ისიც რომ
ჩემს საკუთარ სახლში მე მამაჩემის მკვლელებთან ერთად
ვცხოვრობ და მათ ვემორჩილები. მათზეა დამოკიდებული,
მიწილადებენ თუ არა რაიმეს. გარდა ამისა, როგორ უნდა
ვიყო მე, თუკი ვხედავ ეგისტოსს, მამაჩემის ტახტზე რომ
დამჯდარა, თუკი ვხედავ, რომ მას სამოსელიც მამასი აცვია.
და რომ კურთხევის წესს ასრულებს იმ ადგილას, სადაც მამა
მოკლა. როცა ვხედავ ამაზე უადრესსა და უკიდურეს
თავხედობას – რომ მკვლელი წევს მამაჩემის სარეცელზე
ჩემ საშინელ დედასთან ერთად, თუკი შეიძლება დედა
უწოდო იმ ქალს, რომელიც მის სარეცელს იზიარებს. მას კი
იმდენი თავხედობა ჰყოფნის, რომ მკვლელთან ცხოვრობს,
არც კი ეშინია რომელიმე ერინისისა, მაგრამ თითქოსდა
იმის დასაცინად, რასაც აკეთებს, იგი ირჩევს იმ დღეს,
როდესაც თავისი მზაკვრობით მამაჩემი მოკლა და ამ დღეს
ქოროს აწყობს და მხსნელ ღმერთებს ყოველ თვეს
მსხვერპლად სწირავს ბატკნებს. მე კი, უბედური, ამას რომ
ვხედავ, ჩემს ჭერქვეშ ცრემლს ვღვრი, ძალა მეცლება,
დავტირი საშინელ ნადიმს, რომელსაც, საუბედუროდ,
მამაჩემის, აგამემნონის, სახელი დარქმევია, მარტოხელა
დავტირი მას, რადგან არც იმის საშუალება მაქვს, ისე
ვიტურო, რომ გული მოვიოხო; ეს თითქოსდა
კეთილშობილი ქალი ასე მლანძღავს: «ღმერთებისათვის
საძულველო არსებავ, მხოლოდ და მხოლოდ შენთვის მოკვდა
მამაშენი, ქვეყანაზე მეტი არავინ სწუხს ამაზე.

დაე, მოკვდავთა შორის შენ დაგწყევლოს ღმერთმა, დაე, არასოდეს დაგიხსნან ქვესკნელის ღმერთებმა ამგვარი მოთქმისაგან». ასე შეურაცხყოფს მე.

ხოლო, როდესაც ვინმესგან გაიგონებს, რომ ორესტესი უნდა დაბრუნდეს, გიჟივით მომვარდება და მიყვირის: «განა შენ არა ხარ დამნაშავე, განა შენ არ მომტაცე ორესტესი და ჩუმად არ გააპარე ქვეყნიდან? მაშ, იცოდე, ამისთვის ღირსეულ სასჯელს მოიმკი». ასე ჰყევს იგი. თანაც, ამისკენ აქეზებს მას მისი სახელოვანი და ახალგაზრდა ქმარი. ეს სრულიად უსუსური ვინმე, ნამდვილი წყლული, რომელიც მხოლოდ ქალებთან ერთად იბრძვის მე კი ბედკრული, ვიღუპები, სულ ველოდები, ორესტესის შინ დაბრუნებას, რათა დამიხსნას ამ საშინელი სიმწარისგან, ვკვდები ზედშავი; მან კი, რომელიც იმას ცდილობს, რომ დიდი საქმე ჩაიდინოს და ადასრულოს – დალუპა ჩემი ყველა იმედი. ასეთ დღეში ჰოი, ძვირფასნო, რა გაგხდის კეთილს; ბოროტება ბოროტებას შობს.

ქორო

ჩვენ ვლაპარაკობთ, მაგრამ, ერთი, შენ ეს გვითხარი, სადმე ახლოა ეგისტოსი თუ მოშორებით?

ელექტრა

რომ არ ვიცოდე, შორს რომ არის, ვერც გადმოვდგამდი ნაბიჯს მე ზღურბლზე. ეგისტოსი ველზეა ახლა.

ქორო

კეთილი. უფრო გაბედული ვიქნები მაშინ, რახან აგრეა, გაბედულად შეგეკითხები.

ელექტრა

როგორც გინდოდეს, ისე მკითხე, რა გსურს იცოდე?

ქორო

რას მეტყვი ძმაზე, მოვა თუ არა იგი მალე? ეგ მსურს ვიცოდე.

ელექტრა

ასე შემპირდა. არ ასრულებს თუმც თავის ნათქვამს.

ქორო

ავციანდებათ დიდი საქმის წამომწყებ გმირებს.

ელექტრა

აკილა სწრაფად დავიხსენი მე მაშინ იგი.

ქორო

მეტს ნურას მკითხავ; რადგან ვხედავ, შორიდან მოდის
შენი ღვიძლი და, შენი ღვიძლი მშობლების მიერ
ამ ქვეყანაზე გაჩენილი ქრისოთემისი.
ხელში ძღვენი აქვს გარდაცვლილთა პატივსაგებად.
ქრისოთემისი რას ამბობ, დაო, ამ კარის ზღურბლთან, რას
ამბობ ისევ, უკვე რა ხანია, არ გინდა გაიგო, რომ არ არის
საჭირო ძალადაცვლილი მრისხანება გააზვიადო!
აკი მეც ვიცი, რომ ვიტანჯები ჩემი დღევანდელი
მდგომარეობის გამო, მე რომ რაიმე ძალა მქონოდა, მეც
ვაჩვენებდი მათდამი ჩემს დამოკიდებულებას. ეხლა კი
ვფიქრობ – დაკეცილი იალქნებით უნდა ვიცურო
და არ უნდა მოვაჩვენო ვინმეს, თითქოსდა რამეს ვაკეთებ,
აკი არ შემძლია, ვინმეს რაიმე ვავნო. მე მინდა დაო, რომ
შენც ასე მოიქცე, მაგრამ სამართალი ჩემს სიტყვებში კი არ
არის, არამედ შენს აზრებში. არადა თუკი გსურს,
რომ თავისუფალი იყო, ყველაფერში ძლიერებს უნდა
დაემორჩილო.

ელექტრა

საშინელია, დაივიწყო ღვიძლი მამა და
ბოროტმოქმედი გაამართლო ქალი, ვინც გშობა.
რასაც შენ მირჩევ, ალბათ მანვე თუ ჩაგაგონა.
არაფერს ამბობ შენის მხრიდან, მაშ, აირჩიე:
ან უგუნური იყო, ან ჭკვიანი და
გადაგავიწყდეს ახლობლები. ეხლა არა თქვი –
ძალა რომ მქონდეს, ვაჩვენებდი სიძულვილს მათო?
როცა მე მინდა მამაჩემზე ვიძიო შური,
განა თუ მშველი, თავგზას მიბნევ მე, ვისაც მინდა
რათა ეს საქმე აღვასრულო. განა არა გაქვს
შიში ამისა, განა მხოლოდ მწუხარება გაქვს?
მე გეტყვი, რითი იქნებოდა ჩემთვის კარგი, ეს მოთქმატირილი
რომ შემეწყვიტა. განა მე არ ვცოცხლობ? ვიცი,
რომ ცუდად, მაგრამ ჩემთვის ესეც საკმარისია, სამაგიეროდ
მე ტანჯვას ვაყენებ მათ. და ამით თუკი იქ, ქვემოთ, არის
რამე სასიხარულო, მოკლულ მამას მივაგებ პატივს. შენ კი
მხოლოდ სიტყვებით გძულს, საქმით კი მამის მკვლელთა
მოზიარე ხარ. არა, მე არასოდეს არ ვიქნებოდი მორჩილი,
ჩემთვისაც ის რომ მოეცათ, რასაც შენ გაძლევენ, რითაც
შენ ეხლა ამაყობ. დაე, გქონეს, შენ სავსე სუფრა
და შენი ცხოვრება მდინარესავით უხვი იყოს.
დაე, ჩემს სარჩოდ ერთი რამ იყოს – ვნება არ მივაყენო ჩემს

პიროვნებას – შენ რომ პატივს გცემენ, მე ის არ მჭირდება,
როგორც არც შენ ისურვებდი ამას, კეთილსინდისიერი
გოგო რომ იყო. ეხლა კი, თუმცა შეგემლო მამის საუკეთესო
ასული გრძნეოდა, – დაე, გერქვას დედის ქალიშვილი.
მრავალ ადამიანს აჩვენებ შენი სულის სიმდაბლეს, მამას და
ახლობლებს რომ განუდექი.

ქორო

ღმერთებს გაფიცებთ, ნუ ბრაზობთ, რადგან თქვენს
სიტყვებში ორთავესათვის არის სიკეთე, ოღონდ შენ
გჯეროდეს, რომ მის ჩვევებს მიჰყვე,
ის კი თავის მხრივ – შენსას.

ქრისოთემისი

მე, გოგონებო, მივეჩვიე მის სიტყვებს. და არც
გამახსენებოდა არასოდეს, რომ არ შემეტყო, რომ მას
საშინელი უბედურება ემუქრება. უბედურება, რომელიც მის
ამ გრძელ მოთქმას ბოლოს მოუღებს.

ელექტრა

თქვი, რა არის ეს საშინელი უბედურება, – თუკი უბედურება,
რომელსაც შენ მეტყვი, იმაზე მეტია, რაც ეხლა მჭირს, მეც
აღარ შეგეჩინააღმდეგები.

ქრისოთემისი

ყველაფერს გეტყვი, რაც ვიცი. შენ თუ ამ მოთქმას არ
მორჩები, ისინი

ისეთ ადგილას წაგიყვანენ, სადაც ველარასოდეს დაინახავ
მზის სინათლეს, იქ, ჯურღმულის კედლებში, ამქვეყნიდან
უკვე შორს იმღერებ შენს მწარე ხვედრზე, დაფიქრდი და მე
აღარაფერი დამაბრალო, თუ ასე დაგემართება.

ჯერ დრო გაქვს, აზრზე რომ მოხვიდე.

ელექტრა

მაშ, უკვე მართლა გადაწყვიტეს ასე მომექცნენ?

ქრისოთემისი

ჰო, რა თქმა უნდა, ეგისტოსი შინ როგორც მოვა.

ელექტრა

მე ვისურვებდი ამისათვის, მალე მოვიდეს.

ქრისოთემისი

მაინც რა გინდა, შე საბრალო, რომ დაგემართოს?

ელექტრა

მოვიდეს იგი, თუკი ასეთ რამეს აპირებს.

ქრისოთემისი

რად გინდა მერე? რა მოგელის, თუ ხვდები ნეტა?

ელექტრა

მე მინდა სადმე შორს გავიქცე თქვენაირთაგან!

ქრისოთემისი

ო, ნუთუ სულ მთლად დაგავიწყდა შენი სიცოცხლე!

ელექტრა

ჩემი სიცოცხლე! რა კარგია! გასაოცარი!

ქრისოთემისი

მართლაცდა კარგი იქნებოდა, გონს რომ მოხვიდე!

ელექტრა

რატომ მასწავლი, დავივიწყო ნათესავები...

ქრისოთემისი

ამას კი არა, მე გასწავლი – დაუთმო ძლიერს.

ელექტრა

დაე, დამდაბლდი, ჩემი ზნე კი სულ სხვა რამ არის.

ქრისოთემისი

განა ცუდია, უგნურებას რომ არ ემსხვერპლო?

ელექტრა

თუ საჭიროა, დაე, მოვკვდე მამაჩემისთვის.

ქრისოთემისი

მაგრამ მე მჯერა, გვაპატიებს ძვირფასი მამა.

ელექტრა

ასეთი აზრის მოწონება ლაჩრებს თუ ძალუძთ.

ქრისოთემისი

მაშ, არ მომისმენ და არაფერს არ დამიჯერებ?

ელექტრა

არა! არ მინდა გადავიდე ჭკუას მთლიანად.

ქრისოთემისი

მაშ, მე იქ წავალ, სადაც წასვლა უბრძანებიათ.

ელექტრა

მაინც სად მიხვალ, ვისთვის მიგაქვს ეგ შესაწირი?

ქრისოთემისი

დედამ მიბრძანა, მამის საფლავს წესი ავუგო.

ელექტრა

რას ამბობ, წესი მოსისხლე მტერს უნდა აუგოს?

ქრისოთემისი

თავისი ხელით ვინც მოკლაო – ამის გულისხმობ?

ელექტრა

ვინ ახლობელმა უთხრა ნეტავ? ვინ მოანდომა?

ქრისოთემისი

მე ვფიქრობ, რაღაც საშინელი სიზმარი ნახა.

ელექტრა

ო, ეხლა მაინც შემეწიეთ, მამულის ღმერთო!

ქრისოთემისი

მისი ეგ შიში შენ რაიმე იმედს გისახავს?

ელექტრა

შენ თუ იმ სიზმარს მომიყვები, მაშინ მეც გეტყვი.

ქრისოთემისი

არ ვიცი გითხრა მცირე რამ თუ... იქნებ არც ღირდეს.

ელექტრა

მცირე მითხარი, ხშირად მცირე სიტყვების ძალა
ქვეანარცხებს და აღაზევებს ადამიანებს.

ქრისოთემისი

ამბობენ, იმას დაესიზმრა, რომ თითქოს მამა
ამქვეყნად ისევ დაბრუნდა და კვლავ მასთან იყო.
შემდეგ თითქოსდა აიღო და თავისი კვერთხი
საკურთხეველთან დააკვეთა, კვერთხი, რომელიც
ადრე მას ეპყრა და ეხლა კი ეგისტოსს რომ აქვს,
ამ კვერთხიდან კი აღმოცენდა ტოტი, რომელმაც
თავისი ჩრდილით გადაფარა მთელი მიკენი.
ასე ამბობდა კაცი, ვინაც მას მოუსმინა,
როცა ჰელიოსს უყვებოდა ამ სიზმარს იგი.
ამის მეტი არაფერი ვიცი, ვიცი მხოლოდ ის, რომ ამ
სიზმრით შეშინებულმა გამაგზავნა მე. მამულის ღმერთებს
გაფიცებ და გთხოვ, დამიჯერე და ნუ გახდები შენი

უგნურების მსხვერპლი; რომ მომიშორო, მერე
უბედურებაში ჩავარდები და მერე ისევ მე დამიწყებ ხვეწნას.

ელექტრა

ჩემო ძვირფასო, ამ საკუროთხიდან ხელებში რომ გიჭირავს,
არაფერი დააწყო მამის საფლავზე; არც ადამიანური და
არც ღვთაებრივი კანონი არ იძლევა უფლებას, მოსისხლე
ქალისაგან მამას სამსხვერპლო დაულაგონ და
კუროთხევა აღუსრულონ. არა, ან ქარს გაატანე ანდა ღრმად
ჩამარხე მიწაში, საიდანაც იგი მამას არ მიუვა. დაე, ეს
სამსხვერპლო დედაჩემისთვის დაიმარხოვ მიწაში, მისთვის
განკუთვნილ საჩუქრად, იმ დროისთვის, თვითონ რომ
მოკვდება. ის რომ უსინდისო ქალი არ იყოს, ვერ გაბედავდა
ეს მტრული კუროთხევა აღესრულებინა კაცისათვის,
რომელიც თვითონ მოკლა. დაფიქრდი: ნუთუ კუბოში
მწოლიარე ცხედარი სიყვარულით მიიღებს საჩუქრებს?
სადაგლად მოკლა და, როგორც მტერს, კიდურები დააჭრა
და მის თავს შეახოცა თავისი გასისხლიანებული ხელები; აკი
სისხლით იწმინდება სისხლი.

მამ, დაანებე ამას თავი, ხვეული თმიდან
მოიჭერი და მე უბედურსაც მომაკვცე
ეს კულულები და წაუღე საჩუქრად იმას, –
ეს მცირე ძღვენი – ყველაფერი, რაც გვაბადია.
არ ჰკურებულა ეს თმები და ჩემი სარტყელიც
არ არის დიდი ოსტატისგან ნახელსაქნარი.
თავად მუხლებზე დაეცი და შესთხოვე მამას,
რომ ქვესკნელიდან ამოვიდეს ჩვენდა საშველად.
მოვიდეს ჩვენთან, რათა შური ვიძიოთ მტრებზე,
დე, ორესტესმა დაამარცხოვ თავისი მტრები.
თავისი ხელით და თავისი ფეხით გათელოს.
რომ შემდეგ უფრო მეტის მქონე ხელებით მოვრთოთ
მამის სამარე. მე ვფიქრობ, რომ მან გაუგზავნა
მწარე სიზმარი იმ დედაჩემს, მაგრამ, შენ, დაო,
დე, შეეწიე შენს თავსა და მასაც უშველე, –
ჩვენთვის ყველაზე უძვირფასესს, ჰადესში მცხოვრებს.

ქორო

გოგონას რჩევები მართლაცდა კეთილდღიერია. თუმცა შენაც,
ძვირფასო, შენი მოვალეობის ერთგული უნდა იყო, უნდა
აღასრულო კიდევ ყველაფერი.

ქრისოთემისი

ჰო, აღვასრულებ. სამართლიანი საქმე დებისთვის კამათის
საბაბს არ იძლევა.

უნდა ვიჩქაროთ წესის შესრულება, ოღონდ როცა
ამის გაკეთებას დავაპირებ, ღმერთებს გაფიცვით,
მვირფასებო, ჩუმად იყავით; დედამ რომ ეს შეიტყოს,
ვფიქრობ მწარე შეიქნება ჩემთვის ეს საქმე,
რომელსაც ეხლა ვეპირები.

პირველი სტასიმონი

ქორო

სტროფი

თუკი უგნურად არა ვარ
დაბადებული ამქვეყნად,
თუკი წინასწარ მიჭრის გონება,
ვხედავ, სიმართლის ქალღმერთი დიკე
მოდის და მოაქვს მართალი მსჯავრი.
ჩემო ასულო,
უკვე დრო არის
აღსრულდეს იგი.

სული სიამით ამევსო, როცა მესმა ამბავი
იმ საამურ და მწარე სიზმარზე
ყველას ახსოვს ბოროტება
ელინების მეფესაც და
იმ ძველებურ და ორლესულ
სპილენძისგან ნაჭედ ნაჯახს,
ნაჯახს, რითაც იგი მოკლეს
მზაკვრულად და დაუნდობლად.

ანტისტროფი

მრავალხელება და მრავალფეხა, სპილენძის-ტერფება
ერინისი ჩასაფრებულა, ახლოა უკვე. წყვილი კი ვნებითაა
შეკავშირებული აკრძალულ ქორწინებაში, ქორწინებაში,
რომელიც მკვლელობითაა შებილწული. მჯერა უბედურებას
მოუტანს ავისმქნელებსა და იმათ ხელშემწყობთ ის ჯადოსიზმარი.
ორიდან ერთია: ან ადამიანებს თავიანთ სიზმრებში, – ღვთიურ მინიშნებებში არ
ძალუბთ რაიმეს შეცნობა, – ან
არადა მისი ღამეული სიზმარი ნამდვილად ახდება.

(აკლია ანტისტროფს 12 სტრიქონი)

ეპიზოდი მეორე

კლიტემნესტრა

შენ, ეტყობა, ისევ თავისუფლად ხარ, რახან ეგისტოსი არ
არის აქ, ეგისტოსი, რომელიც ყოველთვის გაკავებდა, გარეთ

რომ არ გასულიყავი და შენთანები არ შეგერცხვინა. ეხლა, ის რომ აქ არ არის, შენ რაღა თქმა უნდა, ყურადღებასაც არ მამცევ. შენ ხომ არაერთხელ შესჩიოდი სხვებს, თითქოს მე მკაცრი ვარ და უსამართლოდ ვმმართველობ, აბუჩად გიგდებთ შენაც და შენს ქცევასაც. არადა, არ ვიცი მე აბუჩად აგდება და მხოლოდ იმიტომ გლანძღავ, რომ შენ თვითონ მლანძღავ. მამაშენია – სხვა არაფერი – შენი ყვედრების საგანი. ის, რომ იგი მე მოვკალი. მშვენივრად ვიცი – მე მოვკალი იგი და არც უარყოფ ამას, რადგან სამართლის ქალღმერთმა დიკემ დაღუპა იგი და არა მარტო მე. შენ რომ გონიერი იყო, დიკეს უნდა ეხმარებოდე, რადგან მამაშენმა, რომელსაც შენ ისევ დასტირი, ბერძენთაგან ერთადერთმა გადაწყვიტა ღმერთებისათვის შენი ღვიძლი და რომ შეეწირა მსხვერპლად, და ეს იმიტომ, რომ არ განუცდია ტკივილი, როდესაც იგი ჩამისახა, მე კი ტკივილით ვშობე იგი. თუმცა, დაე, იყოს ასე. მაგრამ რისთვის შესწირა მან იგი მსხვერპლად? ხომ ვერ იტყვი, რომ არგოსელთა გულისთვის? მაგრამ მას არ ჰქონდა უფლება, მათი გულისთვის ჩემი ქალიშვილი მოეკლა. ჰოდა, თუკი მან, ჩემი შვილი თავისი ძმის მენელაოსის შვილის ნაცვლად მოკლა, განა ამისთვის მას არ უნდა რგებოდა სასჯელი ჩემგან? განა მის ძმას არ ჰყავდა ორი შვილი, რომელთაც უფრო ეგებოდათ სიკვდილი, ვიდრე ჩემს ასულს, ისინი იმ დედისგან იყვნენ შობილნი, რომლის გამოც ომი დაიწყო. იქნებ ჰადესს სწორედ ჩემი ბავშვების გადაყლაპვა სურდა და არა მისი შვილებისა? ან იქნებ სულ მთლად გონებადახშულ მამაშენს ჩაუქრა სიყვარული ბავშვებისადმი, მე რომ გავაჩინე და მენელაოსის შვილებისადმი გაუღვივდა სიყვარული. განა ეს უგუნური და მდაბალი მამის თვისება არ არის? აი, ასე ვფიქრობ მე, თუმც კი შენს აზრს ვუპირისპირდები. ასევე იტყოდა ამას ჩემი მოკლული გოგონა, ლაპარაკი რომ შეემდოს.

სწორედ ამიტომ არ ვინანიებ ჩემს საქციელს. თუ შენი აზრით, მე ცუდად ვსჯი, მაშინ მოიმარჯვე სწორი მზერა და ისევ განიკითხე შენთანები.

ელექტრა

ყოველ შემთხვევაში, ეხლა ვერ იტყვი, რომ მე რაიმე საბაზი მოგეცი შეურაცხყოფისათვის და ამის გამო უნდა ვითმინო შენგან შეურაცხყოფა.

თუ ნებას დამრთავ, გულახდილად გეტყვი მოკლულზეცა და ჩემს დაზეც.

კლიტემნესტრა

ნებას გრთავ. შენ რომ ყოველთვის ასეთი კილოთი იწყებდე ჩემთან ლაპარაკს,
არ იქნებოდა უსიამო შენი მოსმენა.

ელექტრა

გეტყვი. შენ ამბობ, რომ მამაჩემი მოკალი. დანაშაულთა შორის რა არის
ამაზე უფრო სამარცხვინო? და მაინც, მიუხედავად ამისა, სამართლიანად მოიქეცი თუ არა, მე გეტყვი, რომ შენ სიმართლის გამო კი არ მოკალი იგი არამედ შენ ამისკენ ბოროტი კაცის შეგონებამ გიბიძგა, ვისთანაც ეხლა ცხოვრობ. ჰკითხე ნადირობის ქალღმერთ არტემისს – ვისი დასჯა უნდოდა მას, როდესაც ავლისში^[69] ქარები შეაჩერა. მე გეტყვი ამას. იმიტომ, რომ მისგან ამისი გაგება არ შეიძლება. ერთხელაც მამა ნადირობდა ქალღმერთის ტევრში და ნაბიჯების ხმით დააფრთხო წინწყლებიანი, რქებგატოტილი ხარირემი. წამოახტუნა და მოკლა იგი და როდესაც დაიტრაბახა, რაღაც წამოსცდა. ამის გამო ლეტოს ასული გზას არ აძლევდა აქაველებს, უკეთუ მამა ნადირის ნაცვლად თავის ასულს არ შესწირავდა. აი, ამგვარად აღესრულა ის მსხვერპლშეწირვა. ვეღარც უკან და ვერც ილიონს ვერ მიდიოდა ლაშქარი უკვე. ბევრი ფიქრის და დარდის შემდეგ სწორედ ამიტომ გადაწყვიტა მისი შეწირვა. და არა იმიტომ, რომ ძმის გული მოეგო ამით. მაგრამ ყველა შემთხვევაში მე შენი თვალსაზრისითაც გეტყვი, თუკი იგი მენელაოსის გამო აკეთებდა ამას, განა ამისთვის შენგან უნდა მომკვდარიყო? რა კანონის ძალით? ეცადე, როგორმე მოკვდავთათვის ამგვარ კანონთა დამდგენელს, შენვე არ გეწიოს უბედურება და თავის მართლება არ დაგაწყებინოს. თუკი ადამიანები ერთის მაგივრად სხვასაც უნდა ჰკლავდნენ, რაღა თქმა უნდა, შენ პირველი უნდა დაიღუპო. შენ მოგიწევს სამართლიანი საზღაურის გადახდა. ამიტომ, დააკვირდი, ცრუ გამართლებას ხომ არ იგონებ შენთვის? მითხარი ერთი, რატომ სჩადიხარ ახლა სამარცხვინო საქმეს? შენ ცხოვრობ ადამიანთან, რომელიც მკვლელობითაა შებილწული. რომელთან ერთადაც შენ მამაჩემი მოკალი. ამ კაცისგან ბავშვებს აჩენ. ხოლო,

კანონიერი და კანონიერი მშობლებისგან შობილი შვილები სახლიდან გააძევე. როგორ შემიძლია მე გავამართლო ასეთი მოქმედება? იქნებ თქვა, რომ შენ ამითაც შურს იძიებ ქალიშვილის გამო? სამარცხვინოა, ამასაც თუ იტყვი, აკი სავალალოა შვილის გამო მტერს მისთხოვდე. მაგრამ შენ ვერ შეგაგნებინებს კაცი, რადგან სულ იმას გაიძახი, რომ დედას გლანძღავ;

მე კი შენ დედაზე უფრო ჩემს ბატონად გთვლი, რადგან საწყალობელ ცხოვრებას ვეწევი, ყოველთვის სხვადასხვა უსიამოვნებას ვაწყდები შენგან და შენი თანამეცხედრისგან.

ის კი, მეორე, უბედური ორესტესი, რომელიც ძლივს დაუსხლტა შენს ხელს, უცხოობაში ატარებს საბრალო ყოფას; მასში, როგორც არაერთხელ გითქვამს, შენს შურისმგებელს ვზრდი.

ამას მეც თვითონაც ჩავიდენდი, ძალა რომ მქონდეს. ამიტომ, თუ გინდა, ყველას თანდასწრებით დამიძახე ბოროტი, ავსიტყვა, უსირცხო, თუ მე ბუნებითა მაქვს ასეთი თვისებები, არა მგონია, ამით შენ გარცხვენდე.

ქორო

მე ვხედავ, იგი მრისხანებით სუნთქავს, მაგრამ ამასთან ერთად ვერ ვამჩნევ, უწევს თუ არა ანგარიშს იმას, სამართლიანია თუ არა ეს მრისხანება.

კლიტემნესტრა

რაში მჭირდება, ვუყურო ამ გოგოს, რომელიც ასე ახალგაზრდაა და უღირსად ახსენებს თავის დედას. ნუთუ გგონია, რომ იგი – ამჰარტავანი – ყველანაირი საქმისთვის არ არის მზად?!

ელექტრა

დარწმუნებული იყავი, მე მრცხვენია ამ ყველაფრისა. თუმცა შენ სხვანაირად ფიქრობ. მე ვხვდები, ჩემი საქციელი არ შეეფერება ჩემს ასაკს და თვითონ მეც არ მეკადრება იგი. მაგრამ აკი შენი ჩემდამი მტრული აზრი და შენივე საქციელი მაიძულებს ჩემი ნების საწინააღმდეგოდ, ასე რომ მოვიქცე. ცუდი მაგალითებით ცუდი მიდრეკილებები ჩნდება.

კლიტემნესტრა

ო, უსირცხვილო არსებავ! მართლაც და ჩემი სიტყვებითა და ჩემი ქცევით მოგეცი საშუალება ზედმეტი რომ გელაპარაკა.

ელექტრა

შენითვე ამბობ ამას. იმიტომ, რომ შენია ეს საქციელი, ხოლო საქციელი შესაფერის სიტყვებს პოულობს.

კლიტემნესტრა

ვფიცავარ მეუფე არტემისს, როგორც კი ეგისტოსი ჩამოვა,
ამ თავხედობისათვის სასჯელს მოგიზღავ.

ელექტრა

მე ამას გეტყვი! შენ რისხვას აჰყოლიხარ. რაც მსურს, იმას
მალაპარაკებ და მოსმენა კი არ შეგიძლია.

კლიტემნესტრა

მამ რა, შენ იმის საშუალებასაც არ მამღევ, მდუმარედ
შევწირო მსხვერპლი, რახან ნება მოგეცი, ყველაფერი
გელაპარაკა.

ელექტრა

გთხოვ, ნებას გაძღევ, შესწირე მსხვერპლი, ნუ ადანაშაულებ
ჩემს ენას. სიტყვასაც აღარ დაგძრავ.

კლიტემნესტრა

გოგონა, დააწყვე, საკურთხეველზე
სხვადასხვა სამსხვერპლო ნაყოფი.

მე აღვაგლენ მეუფე აპოლონისადმი ღოცვას,
რომ მან გამათავისუფლოს იმ საშინელებებისაგან,
რომელშიც ეხლა ვიმყოფები.

მეოხად მყოფო ფოიბოსო, დე, შეისმინე
ეს იდუმალი ჩემი თხოვნა, აკი არა ვარ
მეგობრებს შორის, ვერც აშკარად ვიტყვი ყველაფერს;
აქ არის იგი და მთელ ქალაქს მოსდებს ყვირილით.
ასეთნაირად მომისმინე, მეც ასე ვიტყვი.
ორაზროვანი ის სიზმარი, ღამით რომ ვნახე,
ო, მეუფეო ლიკეიოს, უკეთუ იგი
სასიკეთოა, დე, კეთილად აღსრულდეს მაშინ,
და თუ ავია, დაე, ჩემს მტრებს მიჰგვარე იგი.
თუკი ვინმეს სურს, ეშმაკობით წამართვას ძალა,
მეუფება და ეს სიმდიდრე – განგმირე იგი.
მომეცი ნება, რომ ასევე უშფოთველი და
მშვიდი ცხოვრებით რომ ვიცოცხლო, კვლავაც რომ ვმართო
ატრიდთა კვერთხით ეს სასახლე, დაე, ვიყო მე
ჩემს მეგობრებთან, რომლებთანაც ამჟამად ვცხოვრობ.
კეთილდღეობა მომეცი და კარგად მიმყოფე
ჩემი შვილები, ის შვილები, ვისაც ჩემს მიმართ
არა აქვთ ბოღმა და არ უნდათ მწარე სიავე
მომაგონ რამე. ო, აპოლონ ლიკეიოსო,
ისმინე ჩემი ეს ვედრება, მოგვმადლე ყველას,
ისე მოგვმადლე, როგორც შეგთხოვთ. სხვა დანარჩენი

შენ, ღმერთმა, უკვე თვითონ იცი. თუმც არას ვამბობ.
ზევის შვილები ყოველივეს ხედავენ ქვეყნად.

გამზრდელი

უცხო ასულნო, ეგისტეოსის არის ეს სახლი?

ქორო

სწორედ ეს არის, უცხო კაცო, შენ სწორად მიხვდი.

გამზრდელი

ნეტა ამასაც სწორად მიხვდი, ეს არის ცოლი?
დედოფალსა ჰგავს გარეგნობით იგი მართლაცდა.

ქორო

სწორედ ასეა. შენს წინაშე დგას ახლა იგი.

გამზრდელი

მოგესალმები, დედოფალო, ამბავი მომაქვს,
რომელიც შენაც გეამება და ეგისტოსსაც.

კლიტემნესტრა

ვით კეთილ ნიშანს, ისევ ვიღებ მე მაგ შენს სიტყვებს,
მაგრამ ეს მინდა, რომ გავიგო, ვინ გამოგზავნა.

გამზრდელი

ფოკისის მეფემ, ფანოტევსმა. დიდ ამბავს გამცნობ!

კლიტემნესტრა

მაინც რა ამბავს, უცხო კაცო? თქვი, თუკი მართლა
მეგობრისგან ხარ – მჯერა კიდეც, კარგ ამბავს მეტყვი.

გამზრდელი

მოკლედ თუ ვიტყვი, ორესტესი გარდაიცვალა.

ელექტრა

ო, მე უბედურს, დაღუპვის დღე მომდგარა ჩემი.

კლიტემნესტრა

ნუღარ ერევი სხვის საქმეში, შენ კი – მოსულო,
მითხარი, როგორ დაიღუპა ის ვაჟბატონი.

გამზრდელი

სწორედ ამისთვის გამოგზავნეს – ყველაფერს გეტყვი.

როდესაც იგი სრულად-ბერძნულ თამაშობებზე,
რომელსაც ყველა დელფოსურის სახელით იცნობს,

იყო მოსული, მოუხმეს რა საასპარეზოდ,

პირველ რბოლაში, მორბენალთა შორის ჩამდგარი,

გაბრწყინებული იდგა მართლაც. ყველას მოსწონდა.

და როცა რბოლა დაასრულა დასაწყის ხაზთან,

ის საპატიო ჯილდოც სწორედ მან მოიპოვა.
 მოკლედ მოგითხრობ, ცხოვრებაში არც მინახია
 მე ამნაირი სხვა გმირობა, არც რა ზეიმი.
 მინდა იცოდე, უხუცესთა დაწესებული
 ყველა შეჯიბრის პირველკაცი სწორედ ის იყო.
 როდესაც მაცნე წარმოსთქვამდა: «ეს არგოსელი
 ორესტესია – ვაჟიშვილი აგამემნონის,
 ვინაც ელადის დიდებული ჯარი შეკრიბა».
 იმეორებდა ყველა ერთხმად – «ჰოი, ბედნიერს!»
 ჰო, ასე იყო, მაგრამ როცა ღმერთი დაგიწყებს
 ბოროტად დევნას, ძლიერიც ვერ გადაურჩები.
 მეორე დილით, მნათობი რომ ამოიწვერა,
 ეტლთა შეჯიბრზე გამოცხადდა, არც ისე ცოტა
 მეეტლე იყო წამოსული შეჯიბრებაზე:
 სპარტელი, იქვე აქაველი, ორიც ლიბიის
 ქვეყნიდან იყო – ოსტატები ოთხცხენა ეტლის.
 თესალიური ქურანები ჰყავდათ შებმული.
 მეხუთე იყო ორესტესი, იქვე მეექვსე
 ეტოლიელი იდგა ვიღაც. ხოლო მეშვიდე
 მაგნესიელი კაცი იყო, ენეის მკვიდრი –
 თეთრი ცხენებით, – მერვე იყო, ათენელი კი,
 ვისი ქალაქიც ღმერთებს უყვართ – მეცხრეზე იდგა.
 ბეოტიელიც – მეათეზე. მათი ეტლები
 წილისყრით იყო გაწყობილი. როცა საყვირით
 ნიშანი მისცეს, გაექანა ათივე ეტლი.
 ცხენებს ამაყად შეუძახეს. ათივემ ერთხმად
 აატლაშუნა სადავენი. ეტლთა ბორბლების
 ხმამ გააყრუა სარბიელი, მტვერი ავარდა,
 ერთად მიჰქროდნენ ათივენი, ხშირად ხმარობდნენ
 ცხენებზე მათრახს, თვითეული იმას ცდილობდა,
 მეორესათვის რომ გაესწრო. წინ გადაესწრო
 დუჟმორეული ცხენებისთვის, ცხენების ზურგზე
 ეტლის ბორბლებზე ნაფლეთებად ეშხეფებოდა
 ცხენების დუჟი. ორესტესი თავისი ბორბლით
 ერთხელაც ლამის წამოედო კიდურა ბოდს და
 მაინც მოასწრო, შეაჩერა მარცხნივ სადავე,
 ხოლო მარჯვენა – წინ მიუშვა. ერთად მიჰქროდა
 ათივე ეტლი. მაგრამ უცებ ის ტაიჭები,
 ენეელი რომ აშმაგებდა, წამოიმართნენ,
 განზე წავიდნენ, გადავიდნენ სარბიელიდან.
 მეშვიდე წრეს რომ ასრულებდნენ, უცებ ბარკეელ

მეეტლის ცხენებს შეეჯახნენ, სულ მთლად დაიმსხვრნენ,
ყირაზე ერთად გადავიდნენ, კრისეს სარბიელს
ზედ დაეფინა დამსხვრეული ეტლების გროვა.
მოხერხებულმა ათენელმა ეს რომ იხილა,
განზე გადგა და იქ შეჩერდა, გზა მისცა ცხენთა
ნიაღვარივით აბორგებულ საშინელ ნაკადს.
ბოლო მირბოდა ორესტესი, წინ არ უშვებდა
თავის ქურანებს, წამოწევის იმედი ჰქონდა.
მაგრამ როდესაც დაინახა, რომ მარტო დარჩა
ერთ მოქიშპესთან, თავის ცხენებს შეუმახა და
წინ გაექანა. წინ გავარდნენ, ხელნა ხედნაზე
მიდიოდა და წინ მიჰქროდა ორივე ეტლი.
წინ ხან ერთი და ხან მეორე იყო სრბოლაში,
იმ უბედურმა ათივე წრე მშვენივრად განვლო.
მრთელები იყვნენ ისიცა და იმისი ეტლიც.
მაგრამ უეცრად, სადავე რომ მარცხნივ მიუშვა,
ვერ შეამჩნია, თუ ბოლო ბოდს როგორ მოედო
იმისი ხელნა. იმავე წუთას სულ მთლად დაიმსხვრა
ეტლის ბორბალი, გადმოვარდა ორესტესი და
სადავეებში გახლართული ძირს დაენარცხა.
დაენარცხა და ცხენები კი ველზე მიჰქროდნენ.
ამოიგმინა ერთხმად ხალხმა, რომ დაინახა,
რა საწყალობლად ჩამოვარდა ეტლიდან იგი.
ამდენი დიდი და საგმირო საქმის ბოლოში
ასეთი მწარე სატანჯველი რომ ერგო იმას.
ფეხებაწეულს მიათრევდნენ ცხენები ცხედარს.
მისი ცხენების გაჩერება ძლივს მოახერხეს.
ძლივს გამოიხსნეს ბაწრებიდან უსულო გვამი.
სულ სისხლში იყო ამოსვრილი, ახლობელთაგან
ვერვინ შეძლებდა უბედური რომ გამოეცნო.
რა დაგვრჩენოდა, ცეცხლზე დავწვით მისი ცხედარი,
დიადი გმირის ფერფლად იქცა დიდი სხეული.
ეს ფერფლი მოაქვთ მცირე ურნით ფოკისელ ელჩებს,
რომ მიაბარონ მის მშობლიურ, სანუკვარ მიწას.
აი, რა მოხდა, მძიმე არის ამის მოსმენა,
ხოლო ჩვენთვის კი, ამ ყველაფრის თვითმხილველთათვის
არარა იყო ცხოვრებაში ამაზე მწარე.

ქორო

ვაიმე, ვაი, ეტყობა ეხლა დაილუპა ჩვენი ძველი მეფეების
გვარი, ძირფესვიანად ამოითხარა.

კლიტემნესტრა

ზევსო, რა არის ეს, რა დავარქვა ამ ცნობას, ბედნიერება თუ უბედურება, თუმც კი ჩემთვის იგი სასარგებლოა...
განა საგლოვო არ არის, რომ მე ჩემი თავის გადარჩენა ჩემივე უბედურების ფასად მიწევს.

გამზრდელი

რატომ დაეცი სულით ასე, ქალბატონო, ეს ამბავი რომ მოისმინე?

კლიტემნესტრა

დიადი რამაა, იყო დედა და, მიუხედავად იმისა, რომ ბოროტებას ელი ბავშვებისაგან, სიძულვილს მათდამი არ გრძნობდე.

გამზრდელი

მაშ, ეტყობა ჩვენ ამაოდ მოვსულვართ.

კლიტემნესტრა

არა, ამაოდ არ მოსულხართ, როგორღა ამბობ, ფუჟად მოველო, თუკი იმის საბუთით მოხველ, რომ მკვდარი არის კაცი იგი, ვისი სიცოცხლეც ჩემი სიცოცხლით წარმოიშვა, ვინაც განმიდგა მე, იმის დედას, ჩემი მკერდით რომ გამოვზარდე, უცხო გამიხდა, სამშობლოდან რომ გაიქცა და არც ვუნახივარ. მაყვედრიდა მამის მკვლელობას, მემუქრებოდა საშინელი შურისძიებით. არც დღისითა და არც ღამით არ მამშვიდებდა მე ტკბილი ძილი და სიკვდილის მტანჯავდა შიში. და აჰა, დღეს კი გამიარა მე მასზე ძრწოლამ, ხოლო ეს გოგო, მოსისხლე მტრად რომ მყავდა მუდამ, ჩემთან ცხოვრობდა, სასიცოცხლო სუფთა სისხლს მწოვდა. ეხლა კი ვფიქრობ, გავატარებთ დღეებს მშვიდად და აღარ დაგვაფრთხობს დღეის იქით მისი მუქარა.

ელექტრა

აჰ, მე უბედურს, ეხლა მართლა უნდა ვიტყვო, ჩემო ორესტესი, შენს ამ მწარე უბედობაზე. როდესაც დედაც კი დაგცინის – კარგია განა?

კლიტემნესტრა

შენ რა გჭირს, ნეტა? იმას რომ სჭირს ის არის კარგი.

ელექტრა

ოჰ, გარდაცვლილის ნემესისო, ყური დაუგდე.

კლიტემნესტრა

ყური მიუგდო, ვისაც ჯერ არს, და აღასრულა.

ელექტრა

იცინე, ეხლა შენს მხარეზე არის იღბალი.

კლიტემნესტრა

ვერ აღუდგებით ამ სიხარულს შენ და შენი ძმა!

ელექტრა

დასრულდა ჩვენთვის ყველაფერი, ვეღარც შენ მოგკლავთ.

კლიტემნესტრა

მართლაც დიდ ჯილდოს იმსახურებ, უცხოვ, მოსვლისთვის;
აკიდა სწორედ შენ მოუღე მის ტირილს ბოლო.

ელექტრა

მაშ, ყველაფერი კარგად არის, ჰოდა, მეც წავალ,

კლიტემნესტრა

არავითარ შემთხვევაში. უღირსად ხომ არ მოგვექცევით შენ
და ჩემს მეგობარს, ვინაც შენ გამოგაგზავნა.

შედი სასახლეში და ეს კი აქ დატოვე, გარეთ იყვიროს
თავისი თავისა და ახლობლების უბედურებაზე.

ელექტრა

როგორ ფიქრობთ, განა მწარედ ტიროდა, და განა

მოთქვამდა სიმწრისაგან

შვილზე ეს უბედური დედა? შვილზე, რომელიც დაელუპა.

არა, იგი სიცილით

წავიდა, ო, მე უბედურს! ძვირფასო ორესტეს,

შენ მე დამღუპე, შენ დატოვე

დღის ნათელი და ამით ჩემს გულს წაართვი უკანასკნელი

იმედები, რომ შენ ცოცხალი დარჩებოდი და მოხვიდოდი,

რათა შური გეძია მამაზე და ჩემზე, ასე უბედურზე. ეხლა კი

სად წავიდე, მარტოკა დავრჩი, აღარც ერთი აღარ მყავხართ,

აღარც შენ და აღარც მამა. ეხლა ისევ მონად უნდა ვყავდე

ჩემს უბოროტეს მტრებს, მამის მკვლელებს.

რაღა მაქვს კარგი? მაგრამ არა, არ ვიცხოვრებ მე მათთან

ერთად. არა, მივატოვებ საკუთარ თავზე

ზრუნვას. აქ, კარიბჭესთან ჩამოვჯდები უმეგობროდ.

და თუ ვინმეს ვაწუხებ სასახლეში ჩემი აქ ყოფნით, დაე,

მომკლან მე! მადლია ჩემთვის, თუ მოვკვდები!

სავალალოა, თუ ვიცოცხლებ. სიცოცხლის არანაირი

სურვილი აღარა მაქვს.

მეორე სტასიმონი

ქორო

სტროფი - 1

ნეტა, სად არის ელვა ზევსისა,
ანდა სინათლე ბრწყინვალე მზისა?
მშვიდად უცქერენ ყველაფერ ამას
დიდი ღმერთები

ელექტრა

ვაიმე, ვაი!

ქორო

რაზე ტირიხარ, ასულო?

ელექტრა

ვაი!

ქორო

ნუღარა შფოთავ!

ელექტრა

შენ მღუპავ ასე!

ქორო

მაინც როგორ?

ელექტრა

თუკი მას შემდეგ, რაც ორივენი ჰადესს ჩავიდნენ, შენ მე
კვლავ იმედს მიღვიძებ, კიდევ უფრო მიღვივებ უბედურებას.

ქორო

ანტისტროფი - 1

აკი ვიცი, რომ მეფე ამფიარაოსი^[70] ქალის მიერ ოქროს
ყელსაბამის გამო მიწაში ჩაგზავნეს; ახლა კი ... მიწაში...

ელექტრა

ვაიმე, ვაი!

ქორო

მართავს ძლიერებით.

ელექტრა

ვაიმე!

ქორო

და მაინც, ავის მოქმედი ქალი...

ელექტრა

დაისაჯა.

ქორო

ჰო!

ელექტრა

ვიცი, ჰო, ვიცი.

მოვიდა მისი ჭირისუფალი და ქალზე იძია შური.

მე კი აღარავინ მყავს შურისმგებელი.

ვინც იყო, ისიც წამართვეს.

ქორო

სტროფი – 2

საბრალობელო მწარეა შენი ხვედრი!

ელექტრა

თვითონაც კარგად ვიცი, წლების მანძილზე მიედინება ჩემი

ცხოვრება, როგორც სიავეთა და უბედურებათა მღვრიე

ნაკადი.

ქორო

აკი ვხედავთ შენს გლოვას.

ელექტრა

ნუ დამავიწყებ ჩემს დარდს და გლოვას.

მომეცი ნება, ვიტყვი ახლა...

ქორო

რას ამბობ!

ელექტრა

განქარდა ყველა იმედი,

აღარ მოვა ჩემი ღვიძლი ძმა!

ქორო

ანტისტროფი – 2

ყველა მოკვდავს ელის სიკვდილი.

ელექტრა

ჰო, მაგრამ განა ასე საზარლად?!

ეტლთა რბოლაში აღმოხდა საწყალს სული, დამტვრეულსა

და თოკებში გახლართულს.

ქორო

მართლაც საშინელია.

ელექტრა

ჰო, მართლაც საშინელია

და ჩემმა ხელებმაც არ განზანეს იგი...

ქორო
ვაიმე, ვაი!

ელექტრა
დაფერფლეს იგი, არც დამიტირია და არც მიგლოვია.
ქრისოთემისი
(დედანს აკლია ტაეპები)

ელექტრა
(დედანს აკლია ტაეპები)

მესამე ეპისოდის

ქრისოთემისი
სიხარულმა ამაჩქარა ჩემო ძვირფასო, წესი და რიგი
დამავიწყდა შენსკენ მოჩქარეს
სასიხარულო ამბავი მომაქვს. მალე მოვიშორებთ
გაუთავებელ სიმწარეს, შენც მწარე ცრემლებს მოიშორებ
ელექტრა
რითი შეგიძლია უშველო ჩემს ტანჯვას, რომელსაც ბოლო
აღარ უჩანს?

ქრისოთემისი
ორესტესი ჩვენთან არის მთელი არსებით, და ეს ისევე
ნათელია, როგორც ის, რომ შენ მე მხედავ.

ელექტრა
სრულ ჭკუაზე თუ ხარ, უბედურო?
ხომ არ იცინი შენსა და ჩემს უბედურებაზე?!

ქრისოთემისი
მამისეულ კერიას ვფიცავ, მე ამას ყოველგვარი დაცინვისა
და ამპარტავნების გარეშე ვამბობ.

ელექტრა
ვაი, მე უბედურს! ვისგან შეიტყვე მაინც ეს ზღაპარი,
რომლისაც ასე გჯერა.

ქრისოთემისი
სხვისგან არ შემიტყვია, ჩემი თვალით ვიხილე ამის საბუთი,
ამიტომაც მჯერა ასე.

ელექტრა
მაინც რა დასტური ნახე ამისა?
რას შეავლე მზერა და ახლა ამ მწველი ცეცხლით თბები?
ქრისოთემისი

ღმერთებს გაფიცებ, მომისმინე და როცა გაიგებ,
ან ჭკვიანი დამიძახე ანდა სულელი.

ელექტრა

თქვი, თუკი ამის თქმა გსიამოვნებს.

ქრისოთემისი

რაც ვიხილე, ყველაფერს გეტყვი. როდესაც მამის
სამარესთან მივედი, მისი ზორცვის თავზე დავინახე რძის
მოწანწკარე ნაკადულები, მამის საფლავი სხვადასხვა
ყვავილით იყო მორთული. ეს რომ ვნახე, გამიკვირდა
და ირგვლივ დავიწყე ყურება, ვინმე ხომ არ არის-მეთქი
ახლომახლო. ყველგან სიჩუმე იდგა, მე უფრო ახლოს მივედი
საფლავთან და მის კიდესთან დავინახე ახლადმოკვეცილი
თმის კულული. მაშინვე, როგორც კი დავინახე, ჩემს სულში
დაიბადა სასიხარულო აზრი, რომ ორესტესი აქ არის. მე ხომ
იგი ყველაზე უფრო მიყვარს მოკვდავთა შორის. მოწიწებითა
და ჩუმად ავიღე მოჭრილი კულულები, სიხარულის
ცრემლები წამომივიდა თვალებიდან, ეჭვიც კი არ
მეპარება, რომ სწორედ მან და არა სხვა ვინმემ გააპატიოსნა
მამის სამარე.

ჩვენს გარდა, სხვას ვის შეეძლო ამის გაკეთება?

მე არ მომირთავს მამის საფლავი, არც შენ

მოგირთავს, რადგან შენ ტაძარშიც კი ვერ მიდიხარ ამ

სახლიდან ცრემლშეუმშრალი. დედასაც არ უქნია ეს. არ

არის მისი სული ამისაკენ მიდრეკილი და ვერც გააკეთებდა

ამას შეუმჩნევლად. არა, ეს შესაწირი ორესტესიაა.

ჰო, ჩემო ძვირფასო, გამაგრდი, ადამიანებს ყოველთვის

ერთნაირი ბედი არ სდევთ. აქამდე იღბალი ჩვენს

წინააღმდეგ იყო, მაგრამ დღევანდელმა

დღემ ვინძლო აღასრულოს ჩვენი ბედნიერება.

ელექტრა

სისულელეა, შე საბრალო, და მეცოდები.

ქრისოთემისი

რა არის, ნუთუ არ გეამა ჩემი სიტყვები?

ელექტრა

არ იცი, სად ხარ და არ იცი, რას ლაპარაკობ!

ქრისოთემისი

როგორ არ ვიცი, თუ აშკარად ვნახე ყოველი.

ელექტრა

შე უბედურო, იგი მოკვდა და დაიღუპა.
ნულარ გექნება იმედი, რომ იგი დაგიხსნის.

ქრისოთემისი

აჰ, მე უბედურეს, ნეტავ მოკვდავთა შორის ვისგან შეიტყვე
ეს ამბავი!

ელექტრა

იმისგან, ვინაც იქვე იყო, როცა ის მოკვდა.

ქრისოთემისი

სად არის იგი, გაოგნებამ შემიპყრო სრულად.

ელექტრა

შინ არის, დედის სტუმარია იგი საამო.

ქრისოთემისი

ო, მე უბედურს, მაგრამ მაშინ ვისგანღა იყო
ეგზომ ძვირფასი შესაწირი მამის საფლავზე.

ელექტრა

ყველაზე უფრო ასე ვფიქრობ, ვიდაცამ ალბათ,
ორესტესის მოსახსენიებლად დააწყო თმები.

ქრისოთემისი

მე უბედური მოვდიოდი აჩქარებული,
სასიხარულო ამბავი რომ შეგეტყო ჩემგან.
არც კი ვიცოდი, რომ სიავე დაგვატყდა თავზე,
ძველიც, ახალიც – ჩვენთან არის უბედურება.

ელექტრა

აი, ასეთი ამბავია, თუ გამომყვები
ახალ შეტყობილ სიავესაც მოუღებ ბოლოს.

ქრისოთემისი

გარდაცვლილების გაცოცხლებას როგორღა შევძლებ?

ელექტრა

ამის თქმა სულაც არ მინდოდა, არ ვარ სულელი.

ქრისოთემისი

რასა მთხოვ მაინც? რისი ძალა შემწევს, ნეტავი?

ელექტრა

გადაწყვიტე და გააკეთე, რასაც მე გეტყვი.

ქრისოთემისი

კეთილი. თუკი რამეს შევძლებ, არ გეტყვი უარს.

ელექტრა

ოფლის გარეშე წარმატება არსად არ არის.

ქრისოთემისი

ჰო, კარგად ვიცი, რასაც შევძლებ, დაგეხმარები.

ელექტრა

მაშ, მისმინე, რა განმიზრახავს. რაც შეეხება მეგობრების დახმარებას თვითონვე იცი, რომ ჩვენ ამის იმედი არ უნდა გვქონდეს.

ჰადესმა მოგვტაცა ისინი. და ჩვენ მარტონი დავრჩით. მესმოდა, რომ ჩემი ძმა სიცოცხლით ჰყვავის, მქონდა იმედი, რომ იგი მოვიდოდა როდესმე მამისათვის შურის სამიებლად, ეხლა კი, როცა იგი ამქვეყნად არ არის, მე უკვე შენ გიყურებ, შიშმა რომ არ მძლიოს და ჩვენ ორმა ერთად მოვკლათ ჩვენი მამის მკლელი ეგისტოსი. აღარაფერს დაგიძლავ. როდემდე იქნები ასეთ მოლოდინში, არაფერს გააკეთებ, საიმედოს რას ხედავ ისეთს, მყარი რომ იყოს.

ისლა დაგრჩენია, იტირო მამისეულ სიმდიდრეზე, რომელიც წაგართვეს. ისლა დაგრჩენია, იმაზე იტირო, რომ ბერდები და საქორწილო სარეცელი ჯერაც არ იცი.

ნურც გექნება ამის იმედი, არც ისე უჭკუო კაცია ეგისტოსი, ჩვენ რომ შვილები გაგვაჩენინოს თავისი თავის დასაღუპად. პირიქით, თუ ჩემს რჩევას დაუჯერებ, მაშინ, ჯერ ერთი, მოკლული მამისაგან იმქვეყნიდან მადლობა გადაგებდება სიყვარულისთვის. მადლობა გადაგებდება ძმისგანაც. გარდა ამისა, თავისუფალი ადამიანი გახდები. ისეთი, როგორიც დაიბადე და შენი ხვედრი ღირსეული ქორწინება იქნება. კეთილშობილი ქალები ყველას მზერას იპყრობენ. ნუთუ ვერ ხედავ, რომ თუკი დამყვები, რა დიდებას მოიხვეჭ შენთვის და ჩემთვის, რომელი მოქალაქე, ან ვინმე უცხოელი კაცი, ჩვენ რომ დავენახეთ, არ მოგვესალმებოდა ამგვარი სიტყვებით:

«შეხედეთ, მეგობრებო, ამ ორ დას, რომლებმაც იხსნეს მამის სახლი, რომლებმაც არ დაიშურეს ძალა და მოკლეს მტრები, მანამდე მტკიცედ რომ იდგნენ მიწაზე.

უნდა გიყვარდეთ ისინი. მათი სიმამაცისთვის. ყველანი უნდა აფასებდეთ მათ. ისინი ღირსებით უნდა შეამკონ დღესასწაულებსა და სახალხო თავყრილობებზე». აი, როგორ ილაპარაკებენ ყველანი ჩვენზე. ისე რომ, არც

სიცოცხლეში და არც სიკვდილში არ შენელდება
ჩვენი დიდება. ჰო, ძვირფასო, დამიჯერე, შეეწიე მამას,
მხარი დაუჭირე ჩვენს ძმას, გამათავისუფლე
უბედურებისაგან მეცა და გაითავისუფლე შენი თავიც.
იცოდე, სამარცხვინოა, როცა კეთილშობილი,
სასირცხო ყოფაში ცხოვრობს.

ქორო

წინდახედულება აქ მთქმელისთვისაც საჭიროა და
გამგონისთვისაც.

ქრისოთემისი

ის რომ გონებაარეული არ იყოს, მეგობარო გოგონებო, სანამ
ლაპარაკს დაიწყებდა, ემახსოვრებოდა სიფრთხილე,
რომელიც ახლა დავიწყნია. რისი იმედი გაქვს ასეთი
გამბედაობის საჭურველს რომ ისხამ და
მეც მომიწოდებ დახმარებისთვის. ნუთუ ვერ ხედავ – ქალი
ხარ და არა მამაკაცი, შენს ხელში ნაკლები ძალაა, ვიდრე
მოწინააღმდეგისაში.

თანაც, ღვთაების იღბალი მათ მხარეზე იხრება ყოველდღე,
ჩვენთვის კი ზურგი შეუქცევია და აღარ გვეხმარება. ჰოდა,
ასეთი კაცის მოკვლის მსურველი, ვინ გაექცევა თავისი
ჩანაფიქრის სავალალო შედეგს? იცოდე, ასეთ მწუხარებაში
მყოფებმა, ჩვენს თავს უარესი უბედურება არ დავაწიოთ.
ხომ შეიძლება, ვინმემ გაიგონოს ჩვენი საუბარი. აკი,
უსახელო სიკვდილი სრულებით არ გვათავისუფლებს
უბედურებისგან. და არც სარგებელი მოაქვს ჩვენთვის,
თუნდაც კეთილი სახელი მოვიხვეჭოთ. განა სიკვდილია
სამარცხვინო, არამედ ის, რომ მოკვლა გინდა, და
გარემოებათა გამო ამასაც ვერ ახერხებ. ამიტომ გევედრები,
სანამ სულ დავიხოცებით და ჩვენს გვარს ამოვწყვეტთ,
შეიკავე შენი რისხვა. და მეც სრულ საიდუმლოებაში
შევინახავ ჩვენს საუბარს. შენ კი, ახლა მაინც,
ჰკუას მოუხმე და დაჰყევი ძლიერებს, რადგან შენ
ოდნავადაც არა გაქვს ძალა.

ქორო

დაუჯერე მას. მოკვდავთათვის ყველაზე კარგი
სიფრთხილე არის და აგრეთვე კეთილი გონი.

ელექტრა

მართლაც ველოდი მე არ სიტყვებს, კარგად ვიცოდი
არ მიიღებდი ჩემს ჩანაფიქრს დე იყოს ასე!
ყველაფერს ჩემით გავაკეთებ, ჩემივე ხელით
გჯეროდეს ჩემი, რომ განზრახულს აღარ უარყვოფ.

ქრისოთემისი

ვაიმე!

ნეტავ მაშინ რას ფიქრობდი, მამა რომ მოკლეს?

ის ყველაფერი მაშინ რატომ არ გააკეთე?!

ელექტრა

იგივე მქონდა ზნე მაშინაც, აზრით უმწიფარს.

ქრისოთემისი

ნეტავი ახლაც ისე სჯიდე, მაშინ რომ სჯიდი.

ელექტრა

შენ ასე ფიქრობ. მაშ, არ გინდა ხელი შემიწყო?

ქრისოთემისი

ავია შენი ჩანაფიქრი, ბოლოც ავი აქვს.

ელექტრა

ვაქებ შენ ჭკუას, მაგრამ მძულხარ სილაჩრის გამო.

ქრისოთემისი

თუ მომავალში შენც შემაქებ, მოგიტმენ ამას.

ელექტრა

ქებას შენ ჩემგან ვერასოდეს ვერ გაიგონებ.

ქრისოთემისი

წინ დიდი დრო გვაქვს, იქნებ ბოლოს მაინც შემაქო.

ელექტრა

მომშორდი, შენგან სარგებელი არაფერია.

ქრისოთემისი

სასარგებლოა ჩემი რჩევა, შენ კი არ მისმენ.

ელექტრა

წადი და იქნებ დედაშენსაც მოუყვე ჩემზე.

ქრისოთემისი

ეს გავაკეთო? განა ასე ძალიან მძულხარ?

ელექტრა

გესმოდეს მაინც, თუ რა უღირს საქმეს მთავაზობ.

ქრისოთემისი

უღირსს არ ვამბობ, მე მიწადა რომ შენს თავს უშველო.

ელექტრა

მაშ, უნდა დაგყვე, სამართლიანს ეძახი რასაც?

ქრისოთემისი

თუ გონიერი შეიქნები, მეც დაგიჯერებ.

ელექტრა

საშინელია, როცა კარგად ამბობ და ცდები.

ქრისოთემისი

შენ იმ სიავეს ამბობ ეხლა, რაც თვითონვე გჭირს.

ელექტრა

როგორ? შენ ფიქრობ, რომ არასწორს ვამბობ რაიმეს?

ქრისოთემისი

მაგრამ ხანდახან სიმართლესაც მოაქვს სიავე.

ელექტრა

ამგვარ ყოფაში მე არ მინდა ცოცხალი ვიყო.

ქრისოთემისი

მაგრამ თუ ასე გააკეთებ, მაშინ შემაქებ.

ელექტრა

მე გავაკეთებ, რაც მე მინდა, ვერ შემაშინებ!

ქრისოთემისი

მართლა ასე სჯი, არ შეიცვლი მაგ შენს არჩევანს?

ელექტრა

ცუდ არჩევანზე უარესი არაფერია.

ქრისოთემისი

ეტყობა, უკვე არაფერში არ მეთანხმები.

ელექტრა

განა თუ ახლა, დიდი დროა ამ აზრზე ვდგავარ.

ქრისოთემისი

მაშ, წავალ მართლაც, შენ არ ძალგიძს, რომ დაეთანხმო ჩემს კეთილ რჩევას, ხოლო მე კი – შენნაირ აზრებს.

ელექტრა

შედი სახლში, მე შენ არ გამოგყვები, ძალიანაც რომ გინდოდეს ეს, რადგან უკიდურეს უგზურებად მიმაჩნია, ამაო რამეს გამოვეკიდო.

ქრისოთემისი

მაგრამ თუ შენ გეჩვენება, რომ რაღაცნაირად მაინც ხარ
მართალი, დაე, დარჩი მაგ შენს აზრზე.
რადგან როცა უბედურებაში ჩავარდები,
მაშინ დააფასებ ჩემს რჩევას.

მესამე სტასიმონი

ქორო

სტროფი – 1

აკი ვხედავთ მაღალ ზეცაში გონიერ ფრინველებს,
დაბერებულ თავიანთ მშობლებს ისინი აპურებენ,
ყოველდღიური სარჩო მოაქვთ მათთვის რუდუნებით. ჩვენ კი
რას ვშვებით? რად არ ვიღებთ მაგალითს იმათგან? ვფიცავ
ზევსის ელვასა და ზეციურ თემისს, აუმცდარია შურისძიება.
ცოცხლებს უსმენენ გარდაცვლილები, ქვესკნელში ჩადი,
ჩემო ძახილო, რად ჩაუტანე ატრევსის ნაშობს უიმედო და
სასირცხო სიტყვა.

ანტისტროფი – 1

აუწყე მას, რომ მის სასახლეში
განხეთქილება სუფევს დებს შორის,
ორმაგი აზრი აწვალებს ორ დას,
ილუპებიან ლამაზი დღენი.
რომ უღალატეს ბედშავ ელექტრას,
რომ უბედური, მარტოლა გლოვობს
ხმასევდიანი ბულბულის დარად,
თავის დაღუპულ მამას დასტირის,
არაფერია მისთვის სიკვდილი,
აღარც ნათელი დღე უნდა უკვე. არ ეშინია უკვე სიკვდილის,
ოღონდ ის ორი მკვლელი რომ მოკლას!

სტროფი – 2

უბედურებაშიც არ მოინდომებს სპეტაკი გულის პატრონი
თავისი სახელის შელახვას. შენაც, ჩემო დაო, მოთქმატირილის
ხვედრი ირჩიე, ბოროტების წინააღმდეგ აღიჭურვე,
ორმაგი პატივი გერგება ამით, გქონდეს გონიერი და
სამაგალითო ქალიშვილის სახელი.

ანტისტროფი – 2

შენ ეხლა მტრების ფერხთქვეშ ხარ. მაშ, ამაღლდი მათზე,
დაო, ძლიერებისა და ბედისწერის ქალღმერთის შეწევნით.
მართალია, მწარეა შენი ხვედრი, მაგრამ შენ
ღირსეულად იცავ კანონებს, ისინი კი ყველაზე მაღლა

დგანან, კეთილდღერებითა და ძლიერი ძალისხმევით
მიჰყვები დიად ზევსს.

მეოთხე ეპიზოდი

ორესტესი

გვითხარით, ქალნო, სწორი გზაა, ჩვენ რომ მოვდივართ,
სწორად მოვდივართ, საითკენაც გეზი გვიჰიარავს?

ქორო

რას ეძებ მაინც, და რა რჩევა გწადია ჩვენგან?

ორესტესი

მინდა გავიგო, თუ სად არის ეგისტოსის სახლი.

ქორო

ეს არის მისი სრა-სასახლე, სწორად გასწავლეს,

ორესტესი

ვის შეუძლია თქვენს შორის, რომ შინ შევიდეს და
ჩვენი დროული მოსვლა იმას შეატყობინოს.

ქორო

შინაურია ჩვენგან ერთი, იმას შეჰფერის.

ორესტესი

მაშ, წადი, ქალო, და უთხარი, ფოკისელები
მოსულან, მეფე ეგისტოსი რათა იხილონ.

ელექტრა

ო, მე უბედურს, ნუთუ მართლა იმის საბუთი
მოგაქვთ, ვაჟკაცნო, მე რომ ადრე რაღაც შევითყვე...

ორესტესი

არ ვიცი, შენ რა შეგიტყვია, მოხუცებული
სტროფიოსისგან ორესტესზე მოგვაქვს ამბავი.

ელექტრა

რა არის, მაინც, უცხოელო, ძრწოლამ შემიპყრო.

ორესტესი

როგორც შენ ხედავ, ეს ჭურჭელი მოგვაქვს, მასში კი
მხოლოდღა მკვდარი ორესტესის მცირე ნაშთია.

ელექტრა

ო, მე უბედურს. ეხლა უკვე მართლაც ცხადია,
ხელში გიჰიარავთ ჩემი ჭირი და ჩემი ტვირთი.

ორესტესი

თუ ორესტესის ხვედრზე სტირი, დაე იცოდე,
მისი სხეულის ფერფლი არის მცირე ურნაში.

ელექტრა

ო, უცხოელო, ღმერთებს გაფიცებ, თუკი ასეა, მომეცი იგი,
რათა მე ვიგლოვო ამ ფერფლთან ერთად ჩემი თავიცა და მთელი ჩემი გვარიც.

ორესტესი

მიეცით მას, ვინც არ უნდა იყოს იგი, მტერი არ უნდა
ჩანდეს, ეტყობა, ვიღაც ახლობელია, ან სისხლით ნათესავი.

ელექტრა

ო, სახსოვარო, კაცთა შორის უსაყვარლესი
ჩემი ძმის, ჩემი ორესტესის სული აქ არის.

განა ამგვარი იმედებით გავგზავნე იგი?

ახლა კი ხელში არაფერი მიჭირავს უკვე.

გაბრწყინებული გავემგზავრე სახლიდან მაშინ,

ადრევე რად არ მოვისწრაფე ჩემი სიცოცხლე,

სანამ მას უცხო ქვეყანაში გავაგზავნიდი.

აჰ, ამ ხელებით მოგიტაცე, გადავარჩინე

შენი სიცოცხლე, შენ რომ იმ დღეს მომკვდარიყავი,

ზიარი მაინც გექნებოდა მამის სამარე.

ლტოლვილ კაცივით დაიღუპე უცხო მხარეში,

უსამშობლოდ და უშენსახლოდ, ველარც შენმა დამ,

შენმა ღვიძლმა დამ ვერ განბანა შენი სხეული.

ვერც შენი ფერფლი გამოიღო ცეცხლიდან ისე,

როგორც ამისი წესი არის საყოველთაო.

უცხო ხელებმა განგბანეს და ახლა კი რა ხარ,

მცირედი ფერფლი დამიბრუნდი პატარა ურნით.

ვაი, მე უბედურს. ეტყობა ფუჭი ყოფილა ის ჩემი ტკბილი

ჯაფა, როდესაც მე შენ გარწევდი და გივლიდი. მშობელ დედასაც კი არ

უყვარდი ჩემსავით. მარტო გზრდიდი სახლში, რა ტკბილად

მეძახდი დაიკოს.

და აჰა, ეს ყველაფერი ერთ დღეში გაქრა. შენთან ერთად

დაიღუპა ყველაფერი. წახვედი და გრიგალივით თან წაიღე

ყოველი.

მამაც აღარ არის. შენ დაიღუპე და მეც მკვდარი ვარ,

ჩვენი მტრები კი იცინიან. უხარია დედას, რომელსაც

დედა არ ეთქმის! შენ კი მე ფარულად მატყობინებდი,

რომ მოხვიდოდი და შურს იძიებდი მასზე. მაგრამ

ბედმა, რომელიც ჩვენთვის უბედობად იქცა, ყველაფერი

გააცამტვერა, შენი ძვირფასი თავი კი არ გამომიგზავნა,

არამედ შენი მცირედი ფერფლი და აჩრდილი. ვაიმე, ვაი.

ვაიმე, საბრალო ნემტო, ვაიმე, ვაი! ო, საშინელი გზით

დამიბრუნდი. ოი, ოი, ძვირფასო და დამღუპე მე. დამღუპე მე, ჩვენი ძვირფასო.

ო, მიმიღე მე შენთან ერთად შენს ვიწრო სამყოფელში.

მე – არარაობა დაე, არარადვე ვიქცე. ისევე როგორც შენ, დაე, მეც ქვემოთ ვიყო, აკი ამქვეყნადაც ერთად ვიყავით, საზიარო ცხოვრება გვქონდა, ეხლა კი შენი სიკვდილით მკვდარმა, დაე გავიზიარო მე შენი საფლავი.

მკვდრები ტკივილს არ გრძნობენ.

ქორო

მოკვდავმა მამამ გშობა, იცოდე, ელექტრა, ორესტესიც მოკვდავი იყო.

ასე რომ, ნუ იტანჯავ თავს. ყველა ჩვენგანს სიკვდილის ელის ბოლოს.

ორესტესი

ვაიმე, რა ვთქვა? როგორ შევძლო სიტყვის მოთოვვა, ვეღარ ვახერხებ, გავაჩერო ეს ჩემი ენა.

ელექტრა

რა გაგიჭირდა, რისი თქმა გსურს, რას ვეღარ ამბობ?

ორესტესი

ნუთუ ელექტრას მოკაშკაშე სახეა ჩემს წინ?

ელექტრა

მას ხედავ სწორედ, სიმწარეში ჩავარდნილს ხედავ.

ორესტესი

ო, უბედურის უმწარესო, ბედშავო ხვედრო!

ელექტრა

ო, უცხოელო, ნუთუ ჩემზე აღმოგხდა ოხვრა?

ორესტესი

უბედურებას შეუცვლია მისი იერი.

ელექტრა

რადაც სიავის მაუწყებელ სიტყვებს თუ ვისმენ?

ორესტესი

შენს უქორწილო და უღიბლო შენს ცხოვრებაზე.

ელექტრა

ასე რად მიცქერ, უცხო კაცო, ასე რად ოხრავ?

ორესტესი

სიავეთაგან არაფერი მცოდნია თურმე.

ელექტრა

მაინც საიდან შეიცანი, ამას რომ ვამბობ?

ორესტესი

შენ რომ გიყურებ! სიავეში რომ ჩავარდნილობარ!

ელექტრა

უბედობათა მცირე ნაწილს უყურებ მხოლოდ.

ორესტესი

რას მეტყვი კიდევ? უფრო მეტი რა ტანჯვა გადგას?

ელექტრა

ის ტანჯვა მადგას, მკვლელებს შორის რომ ვცხოვრობ ახლა.

ორესტესი

ვის მკვლელებს შორის? რა სიავეს გულისხმობ მაინც?

ელექტრა

მამის მკვლელებს-თქო, მათთან ერთად მონად რომ ვცხოვრობ.

ორესტესი

ვინ გაიძულა მოკვდავთაგან მათი მონობა?

ელექტრა

დედა რომ ჰქვია, თუმცა დედის არაფერი აქვს.

ორესტესი

როგორ! რაიმე წაგართვა თუ ძალა იხმარა?

ელექტრა

ძალაც იხმარა, წამართვა და სხვა სიავეც ქნა.

ორესტესი

არავინ არის, დაგეხმაროს, რამე გიშველოს?

ელექტრა

კი, იყო ერთი, მისი ფერფლი შენ მოიტანე.

ორესტესი

ო, რა საშინლად მეცოდები, შე ბედდამწვარო!

ელექტრა

მოკვდავთა შორის ერთადერთმა შენ შემიცოდე,

ორესტესი

ჰო, მარტო მე თუ ვიზიარებ შენ მწუხარებას.

ელექტრა

შენ ხომ მოხვედი, ჩვენი სისხლის სულაც არა ხარ.

ორესტესი

მაგასაც გეტყვი, თუ ეს ხალხი სანდოა ჩვენთვის.

ელექტრა

სანდო არიან, დამიჯერე, თქვი, რაც გინდოდეს.

ორესტესი

დადგი ჭურჭელი და ყველაფერს მიხვდები ეხლა.

ელექტრა

ნუ, ნუ წამართმევ, გევედრები, ჩემთვის ძვირფას ნეშტს.

ორესტესი

/...../

ელექტრა

ღმერთებს გაფიცებ, უცხოელო, ნუ იზამ ამას.

ორესტესი

ერწმუნე სიტყვებს, და ამის მეტს ნუღარას გლოვობ.

ელექტრა

ამას რას ამბობ. მე საბრალოს, მე საწყალობელს
ორესტესს, შენი დამარხვაც თუ აღარ მეღირსა!

ორესტესი

კარგი, თქვი რამე, და ამის მეტს ნუღარ იტირებ.

ელექტრა

როგორღა აღარ დავიტირო ჩემი ღვიძლი ძმა.

ორესტესი

არ არის სწორი, მასზე ასე რომ ლაპარაკობ.

ელექტრა

რა, განა ღირსი აღარა ვარ გარდაცვლილისა?

ორესტესი

ყველას ღირსი ხარ, ხოლო ურნა შენთვის არ არის.

ელექტრა

მე მიკავია ორესტესის ნეშტი ხელებში.

ორესტესი

ო, არა, არა! ტყუილია ეს ყველაფერი.

ელექტრა

აბა სად არის იმ ბედშავის სამარე ნეტავ!

ორესტესი

არ არის. ცოცხალს არ სჭირდება რამე საფლავი.

ელექტრა

რას მეუბნები, ო, ვაიმე,

ორესტესი

ტყუილს არ ვამბობ!

ელექტრა

ცოცხალი არის?

ორესტესი

ჰო, რადგანაც მე შენს წინ ვდგავარ.

ელექტრა

შენა ხარ იგი?

ორესტესი

ჰა, შეხედე – მამის ბეჭედი!

და დამიჯერე თუკი ამას აშკარად ვამბობ.

ელექტრა

ჰოი, ძვირფასო სინათლეო!

ორესტესი

მართლაც ძვირფასო!

ელექტრა

შენი ხმა მესმის?

ორესტესი

დამიჯერე, სხვისი არავის!

ელექტრა

გეხვევი, ძმაო?

ორესტესი

ნეტა ასე ვიყოთ ყოველთვის.

ელექტრა

ჩემი ქალაქის სანატრელო ქალიშვილებო,

ორესტესის ხედავთ, მოხერხებით რომ მოკვდა თითქოს

და მოხერხებით რომ გაცოცხლდა ისევ თავიდან.

ქორო

ვხედავთ, ასულო, და რაც მოხდა აქ, ჩვენს წინაშე
უნებური და სიხარულის ცრემლით გვატირებს.

ელექტრა

სტროფი

ო, ბავშვო, ჩემთვის უძვირფასეს ადამიანთაგან ნაშობო
ძვირფასო ბავშვო, ბოლოს და ბოლოს მოხვედი და ხედავ
იმათ, ვისი დანახვაც
ასე გინდოდა.

ორესტესი

მოვედი. ჯერჯერობით ჩუმად იყავი.

ელექტრა

რა არის?

ორესტესი

ჩუმად იყავი, შიგნით რომ არავინ გაიგონოს.

ელექტრა

არტემისის ვფიცავ, მარად ქალწულს, ღირსეული არ არის
ჩემთვის,
შიშით ვცახცახებდე იმ ქალების წინაშე, რომელნიც მუდამ
ტვირთად სხედან სახლში.

ორესტესი

შენ ხომ იცი, რომ არესი ქალებშიც სახლდება. შენ ეს შენი
გამოცდილებით უნდა იცოდე.

ელექტრა

ვაიმე, ვაი, ისევ მომაგონე ჩვენი დაუფარავი უბედურება.
მას ვერც მოიშორებ და ვერ დაივიწყებ.

ორესტესი

მე ესეც ვიცი; მაგრამ როცა ამის დრო დადგება, მათაც
მოაგონდებათ თავისი საქმე.

ელექტრა

ანტისტროფი

ყოველთვის და ყოველწამიერ გავიმეორებ ჩემს სამართლიან
სიმღერებს რა დამღლის ნეტა? მოვესწარი რაც მიწოდდა.
ბოლოს და ბოლოს ჩემი ენაც გათავისუფლდა.

ორესტესი

მეც გეუბნები: დაიხსენი შენი თავისუფლება.

ელექტრა

რა გავაკეთო,

ორესტესი

შესაფერის დრომდე, გირჩევ არაფერი თქვა.

ელექტრა

შენი მოსვლის შემდეგ ვინ უღირსი გაცვლიდა სიტყვას
დუმბილზე? ასე უსიტყვოდ, იმედდაკარგულს რომ
გამომეცხადე.

ორესტესი

მე გამოვცხადდი იმიტომ, რომ ღმერთებმა ინებეს ასე.

.....

ელექტრა

კიდევ უფრო დიდ მადლს მეუბნები, თუკი ამბობ,
რომ ღმერთმა მოგიყვანა ჩვენი სახლის ზღურბლთან.
ღვთიურ საქმეს ვხედავ ამაში.

ორესტესი

ვუფრთხი იმას, რომ შენი სიხარული დავაზრო, თუმცა
ზომაზე მეტად ნუ მიეცემი ღმერთს.

ელექტრა

ეპოდო

დიდი ხნის შემდეგ ჩემთან უსაყვარლესი გზით მოსული რომ
გამომეცხადე, მრავალი ჯაფის გადამტანს,
ნულარ წამართმევ, ნუ იზამ რომ...

ორესტესი

რას ნუ ვიზამ?

ელექტრა

ნუ წამართმევ სიხარულს,
შენმა დანახვამ რომ მომგვარა.

ორესტესი

არც სხვას მივცემ ამის უფლებას.

ელექტრა

მაშ, მეთანხმები?

ორესტესი

რატომაც არა.

ელექტრა

ო, მეგობრებო, აღარ მქონდა იმედი, ისევ გამეგონა ეს ხმა.

..... ვერ შევიკავე სიხარული, ვერც

ყვირილი

შევიკავე მე უბედურმა. ეხლმა ჩემთან ხართ,

მკირფას სახეს ვხედავ, რომელიც მე უბედურებათა გამოც
კი არ დამვიწყნია.

ორესტესი

ნუ მეტყვი ზედმეტ სიტყვებს, ნურც დედაჩემზე მასწავლი,
რომ ის ბოროტია.

ნუ მეტყვი მამის საგანძურზეც, რომელსაც ეგისტოსი
ფანტავს და უაზროდ ანიავებს. რადგან დროის შესაფერის
შემთხვევას გავუშვებთ ამ დროს ხელიდან. სჯობს მასწავლო,
როგორ მოვიქცეთ ამჯერად, სად გამოვჩნდეთ,
ანდა სად ჩავუსაფრდეთ გზაზე მტრებს,
რომლებიც მხიარულად
იცინიან.

<.....>

<.....>

როგორმე დედაჩემმა სიხარულის ნათელი არ შეგამჩნიოს
სახეზე, შინ რომ შევალთ. წყევლა-კრულვითა და სიცრუით
მოჰყევი მოთქმას. როდესაც ბედნიერებას ვეწევით და
საქმეს დავასრულებთ, მაშინ გავიხარებთ
და თავისუფლად ვიცინებთ.

ელექტრა

ჰო, ძმაო, როგორც შენ გესიამოვნება, სწორედ ისე
მოვიქცევი. ჩემი სიხარული
შენგან არის შობილი და არა ჩემგან. არ არის ჩემთვის
სარგებელი იმაში, რაიმე მცირედიტაც თუ გაწყენინებ. არც
თანამდგომი ღვთაების წინაშე მოვიქცეოდი კარგად.
თვითონვე იცი, რა ხდება აქა. როგორ არ იცი?
ხომ გაიგონე, რომ ეგისტოსი არ არის პალატებში,
დედა კი სახლშია. ნუ გეშინია, ჩემს გაცინებულ სახეს იგი
ვერ დაინახავს.

ძველი სიძულვილი მაქვს მისი. თანაც მას მერე,
რაც შენ დაგინახე, არ შევწყვეტ სიხარულის ტირილს.
როგორ შევწყვეტ, თუკი შენ, შენი გზით, ჯეროთ თითქოს
მკვდარი მოხვედი და მერე კი ცოცხალი გიხილე?
ისევე განსაცვიფრებელი იყო შენი მოსვლა, როგორც მამა
რომ დაბრუნებულიყო ცოცხალი.

ამასაც კი არ ჩავთვლიდი ისეთ საოცრებად, არამედ
ჩემს თვალებს დაუუჯერებდი. და რახან ამგვარად მოხვედი
ჩემთან, დაე, წარმმართე მე, როგორც შენს სულს ენებოს.
თუმცაღა, მე რომ მარტოც ვყოფილიყავი, არ შემეშლებოდა
– ან კეთილად გადავირჩენდი თავს, ან კეთილადვე
დავიღუპებოდი.

ქორო

გაჩუმდი. მე მესმის, რომ გამოსასვლელისკენ მოდიან.
შედიტ, უცხოელნო, თქვენ ისეთი რამ მოგაქვთ, რომ
სახლეულთაგან ყოველი მიიღებს მას, თუმცა იგი
სასიამოვნო სულაც არ არის.

გამზრდელი

უგუნურნო და გონშეშლილნო, იქნებ არაფრად მიგაჩნიათ
თქვენი სიცოცხლე, იქნებ გონება არა გაქვთ, ნუთუ ვერ
ხვდებით, რომ არა თუ უბედურების ახლოსა ხართ, არამედ,
პირდაპირ უბედურებაში ჩავარდნილხართ?!

მე რომ თავიდანვე სადარაჯოზე არ ვმდგარიყავი
შესასვლელთან, თქვენი განზრახვები თქვენზე ადრე
შევიდოდა შინ.

ჩემი სიფრთხილე აგაფარეთ თქვენ.

ახლა კი დაასრულეთ ეს ვრცელი სიტყვები
და ეს თქვენი ხმამაღალი ძახილი, შიგნით შედით.
დამლუპველია ასეთ დროს დაყოვნება.

მოხერხებული დრო მომდგარა. შეწყვიტეთ ლაპარაკი.

ორესტესი

ნეტავი როგორ დამხვდებიან, როცა შინ შევალ.

გამზრდელი

მშვენივრად. რადგან იმათგანი ვერავინ გიცნობს.

ორესტესი

მაშ, შენ აცნობე რომ მე მართლა მკვდარი ვარ თითქოს?

გამზრდელი

ისინი თვლიან, რომ შენ უკვე ჰადესში ცხოვრობ.

ორესტესი

ხარობენ ალბათ! რას ამბობენ ნეტავი მაინც?

გამზრდელი

აღვასრულებთ და მაშინ გეტყვი, ხოლო ამჯერად
ჩვენს მხარეზეა ყველაფერი – თვით ბოროტებაც.

ელექტრა

ღმერთებს გაფიცებთ, ეს ვინდაა, მითხარი, ძმაო!

ორესტესი

რა, ვერ იცანი?

ელექტრა

აზრადაც კი არავინ მომდის.

ორესტესი

განა არ იცი, ვის ხელეზში მიმეცი მაშინ.

ელექტრა

ვისაში? რა თქვი?

ორესტესი

ის კაცია,

ვინაც ფოკისის მხარეში ისე წამიყვანა,

შენ რომ გინდოდა.

ელექტრა

ის კაცი არის, მრავალთაგან ერთი რომ შეგრჩა

ერთგული მაშინ, მამაჩვენი მოგვიკლეს როცა?

ორესტესი

სწორედ ის არის, ზედმეტ სიტყვას ნულარას მკითხავ.

ელექტრა

უმჯობესესო დღის ნათელი, აგამემნონის სახლის

ერთადერთო მხსნელი, როგორ მოხვედი, ნუთუ ეს შენ ხარ,

ორივენი რომ გვიხსენი ამ მრავალ ჯაფათაგან? ო, ძვირფასო

ხელებო! ტერფებო, ჩვენს საამოდ რომ მოიყვანეთ იგი.

რა ხანია, აქ ჩემთანა ხარ და არ მითხარი, არამედ

მკლავდი მაშინ, როდესაც საამური ამბავი მოგეცნოდა ჩემთან.

სალამი, მამა! ისე გიყურებ, როგორც მამას. სალამი. იცოდე,

ადამიანთა შორის ერთსა და იმავე დღეს მტრადაც გთვლიდი

და ყველაზე უტკბესადაც.

გამზრდელი

ვფიქრობ, საკმარისია, ელექტრა. რადგან მრავალ სიტყვაში

მრავალი ღამე და დღე მოდგება

და ყველაფერს დაწვრილებით შეიტყობ,

თქვენ კი ორთავეს გეუბნებით, იჩქარეთ, რადგან

შესაფერისი დრო მომდგარა. ეხლა კლიტემნესტრა მარტოა

და არავინ ახლავს მამაკაცთაგან. დაფიქრდით,

რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში უფრო ბრძენ და

მრავალ ადამიანთან მოგიწევთ ბრძოლა.

ორესტესი

აღარ არის საჭირო ბევრი სიტყვა. პილადეს, საქმე

გავაკეთოთ. რაც შეიძლება ჩქარა შევიდეთ შიგნით, მანამ კი

პატივი მივაგოთ იმ ღმერთებს,

მამისეული სახლის შესასვლელში რომ ცხოვრობენ.

ელექტრა

მეუფევ აპოლონო, მოწყალედ უსმინე მათ, მეც შემისმინე,
რადგან რაც გამაჩნდა, ყველაფერი ჩემი ხელებით მომქონდა
შენთვის. ახლა კი, ლიკეოს აპოლონო, შესაწირის გარეშე
გთხოვ და შემისმინე მე.

მუხლმოყრილი გევედრები, გვარის მწყალობელო,
მფარველი იყავ ჩემი ზრახვებისა და დაანახე ადამიანებს, თუ
რას მიაგებენ ღმერთები იმათ უღირსობას.

ქორო

სტროფი

შეხედეთ, მოდის ღმერთი არესი
შურისმგებელი და სისხლიანი;
აჰა, მოდიან სასახლის ჭერქვეშ,
კვალში უდგანან მსხვერპლს და მოდიან
ძაღვები, ვერვინ რომ ვერ გაექცეს.
ვერვინ ბოროტი საქმის ჩამდენი.
ასე რომ, არც თუ დიდი ხნის შემდეგ
აღესრულება ჩემი სულის სიზმარ-მისნობა.

ანტისტროფი

უკვე შემოვიდა მფარველი და მოხერხებულფეხებიანი
ღმერთი მამის პალატებში, სადაც ინახება მრავალი ძველი
საგანძური.

გაღვიძებული სისხლი მოაქვს თავისი ხელებით მაიას ძეს,
ჰერმესს მოჰყავს იგი მიზნისაკენ. მოხერხებული,
ღამეაფარებული, რათა ვერავინ გაექცეს.

ელექტრა

სტროფი

ო, ძვირფასო ქალებო, მალე აღასრულებენ კაცები საქმეს.
ჩუმად იყავით.

ქორო

ეს როგორ, ეხლა რას გააკეთებენ?

ელექტრა

ქალი ამკობს ცარიელ ურნას. ისინი კი გვერდით არიან.

ქორო

შენ რისთვისღა გამოხვედი გარეთ?

ელექტრა

რათა ვუდარაჯო, როგორმე ეგისტოსის მოსვლა არ
გამომეპაროს.

კლიტემნესტრა

ვაიმე, ვაი, მეგობრებისაგან დაიცალა პალატები,
მკვლელლებითაა სავსე
ისინი.

ელექტრა

ვიღაც ყვირის შიგნით, არ გესმით, მეგობრებო?

ქორო

გაუგონარი რამ მესმის მე უბედურს, როგორ ვცახცახებ,

კლიტემნესტრა

ვაი მე უბედურს, სადა ხარ ეგისტოს?

ელექტრა

ისევ ვიღაც ყვირის.

კლიტემნესტრა

შვილო, ო, შვილო,
შეიბრალე შენი მშობელი დედა.

ელექტრა

აკი არც ერთი არ შეგბრალებია,
არც შენი შვილი და არც მისი მშობელი მამა.

ქორო

ჰოი, ქალაქო, ო, ბედშავო გვარო, შენ ახლა
კარზე მომდგარი ბედისწერა მოგკლავს, ო, მოგკლავს.

კლიტემნესტრა

ვაიმე მკლავენ.

ელექტრა

თუ ძალა გაქვს, კიდევ დაარტყი.

კლიტემნესტრა

აჰ, ისევ, ისევ.

ელექტრა

ნეტა ასევე ეგისტოსსაც!

ქორო

აღსრულდა შურისძიება. გაცოცხლდნენ მიწაში მწოლნი; ისევ
უკანვე

იბრუნებენ სისხლს მოკლულთაგან ადრე მოკლულნი.

ანტიკტროფი

აი ისინიც მოდიან, გასისხლულმა ხელმა კი
დაღვარა სისხლი არესის მსხვერპლისა. არ ვამტყუნებ
თუმცა მე იმათ.

ელექტრა
ორესტეს, როგორ გააკეთეთ?

ორესტესი
ყველაფერი კარგად არის.
თუკი აპოლონმა კარგად გვიწინასწარმეტყველა.

ელექტრა
მოკვდა თუ არა ის უბედური?

ორესტესი
ნუ გეშინია,
რომ დედაშენი შენ ოდესმე კვლავ შეურაცხყოფს.

ელექტრა
<.....>

<.....>

ორესტესი
<.....>

ქორო
ჩუმად იყავით; ეგისტოსს ვხედავ აშკარად.
<.....>

ელექტრა
ბიჭებო, ხომ არ დაიმაღლებით?

ორესტესი
სად დაინახეთ
ეგისტოსი?

ელექტრა
<.....>

მხიარული, გარეუბანში ეტლს მოაჭენებს.

ქორო
რაც შეიძლება ჩქარა შედით შინ
და ამჟამად პირველი საქმის უკვე გამკეთებლებმა,
ესეც ისევ...

ორესტესი
გამაგრდით; დაე, დავასრულოთ.

ელექტრა
ეხლა კი შედი

ორესტესი
წავედი უკვე.

ელექტრა

ჩემი საქმე კი აქაა.

ქორო

ნაზი სიტყვებით მოეალერსე იმის ყურებს.

ჩემს მახეში რომ გაეზას,

ო, იდუმალო მსჯავრო, დაე, სისხლით აღსრულდი მასზე.

ეგისტოსი ვინ იცის თქვენში, ფოკისელო უცხო კაცნო,

სად არის იგი, ვინაც თქვა, რომ ორესტესის სიცოცხლე

ცხენებშებმული ეტლების შეჯიბრში დასრულდა?

შენ, სწორედ შენ გეკითხები, ადრე ასე გამბედავს, ვინძლო

ყველაზე უფრო მძაფრად შენ მოგხვდებოდა ეს ამბავი

გულზე, ჰოდა ასევე კარგად მეტყვი მე.

ელექტრა

ვიცი; რატომაც არა? განზე ხომ არ განვუდგები ჩემს

მოყვასებს?

ეგისტოსი

სად არიან უცხო კაცები, მითხარი.

ელექტრა

შიგნით. ქალი სიყვარულით ღებულობს იმათ.

ეგისტოსი

მართლა მოკვდაო, ასეთი ამბავი მოიტანეს?

ელექტრა

არა, არამედ აშკარადაც დაგვანახეს,

განა თუ მარტო სიტყვა თქვეს ამის შესახებ.

ეგისტოსი

მაშ, ორესტესი აქ არის? და შემძლია ვნახო იგი?

ელექტრა

სწორედ აქ არის, მაგრამ საშინელია მისი იერი.

ეგისტოსი

თუმცა შენ არა გსურს, შენ ამითი ძალზე მახარებ.

ელექტრა

მაშ გაიხარე, თუ საამურს ხედავ რაიმეს.

ეგისტოსი

გიბრძანებ: ჩუმად. და გააღეთ კარები, რათა

ყველა მიკენელს და არგოსელს ცხადად შეეძლოს

მისი დანახვა, რომ თუ კიდევ ვინმეს რაიმე

იმედი ჰქონდა ამ კაცისა, მკვდარი იხილონ
და ჩემს ლაგამზე წამოეგონ. რომ არ დამჭირდეს
ძალით მოვთოკო მათი ნება და საწადელი.

ელექტრა

მე სწორედ ასე მომივიდა. გავიდა დრო და
ჩემზე ძლიერებს მეც ვუხდები თანამდგომელად.

ეგისტოსი

ო, ზევსო, ვხედავ ღმერთთა შურის გარეშე იგი
არ მოკვდებოდა; თუ ნემესისს არ სურს, არც ვიტყვი.
გადააშორეთ თვალებიდან, მაშ, ეს საფარი,
იმისთვის, რათა მეც ვიტყვო ახლობლის ბედი.

ორესტესი

შენ თვითონვე ჩამოაშორე, ჩემთვის კი არ არის იგი,
არამედ შენთვის, შენ უნდა იხილო იგი
და შენვე უნდა მიაგო პატივი.

ეგისტოსი

კარგად მეუბნები... და მეც დაგიჯერებ; შენ კი, თუ სახლშია,
კლიტემნესტრას დამიძახე.

ორესტესი

იგი შენს გვერდით არის; ნუ აარიდებ თვალს.

ეგისტოსი

ვაი, რას ვხედავ!

ორესტესი

რისი შეგეშინდა? ვინ ვერ იცანი?

ეგისტოსი

ვინა ხართ ნეტა, ნეტა რა მახეში გავები მე უბედური?

ორესტესი

მაშ, ვერ იგრძენი თავიდანვე
ცოცხლებს მკვდრებსავით რომ ელაპარაკებოდი?

ეგისტოსი

ვაიმე, ახალა ვხვდები. სხვა არაფერია,
ორესტესი ხარ, ჩემი მკვლეელი.

ორესტესი

ასეთ კარგ მისანს, ასე დიდხანს რად გეშლებოდა?

ეგისტოსი

დავიღუპე მე უბედური. მაგრამ მომეცი ნება სიტყვა გითხრა.

ელექტრა

ნურც სიტყვას მისცემ, ღმერთებს გაფიცებ, ძმაო,
და ნურც სიტყვებს გააგრძელებინებ ძალიან.
ავისმოქმედ კაცთაგან ვის უნდა დააცალო სიკვდილი,
თუკი ამის დრო მოსულა? ჩქარა მოკალი
და მისი გვამი მესაფლავეებს მიეცი, მათთვისდა არის იგი,
დაე, შორს წაიღონ.
დაე, ჩემთვის ძველ ბოროტებათაგან ერთ-ერთ საშველად
იქცეს იგი.

ორესტესი

ჩქარა შიგნით შეადგი ფეხი; ჩვენი კამათი სიტყვებზე კი არ
არის, არამედ შენს სულზე.

ეგისტოსი

შიგნით რისთვისდა მიგყავარ?

რისთვის, თუკი შენ კარგი რამ ჩაიფიქრე,
რად გინდა სიბნელე, იქნებ მზად არა ვარ მოსაკლავად?

ორესტესი

ბრძანებებს თავი ანებე და იქ შედი, სადაც მამაჩემი მოკალი.
შენც იქ მოკვდები.

ეგისტოსი

ნუთუ ამ პალატებისათვის აუცილებელია, პელოპიდთა
მოდგმიდან ყველა სიავესა და სიკვდილს უყურონ?

ორესტესი

მხოლოდ შენსას; შენთვის კარგი მისანი მე ვიქნები.

ეგისტოსი

მაგრამ მაგ საქმეში მამაშენის ოსტატობით ვერ დაიკვეხნი.

ორესტესი

ბევრს მეპასუხები, გზას კი ვანელებთ. წადი.

ეგისტოსი

გამიძეხი.

ორესტესი

პირველი წადი.

ეგისტოსი

გეშინია, რომ გაგექცევი?

ორესტესი

როდი მოკვდები

აგრე საამოდ. მე გიმზადებ მწარე აღსასრულს.

საჭირო არის ყველასათვის სამართლის დაცვა

და ვინც ამ კანონს გადაუვა, ის უნდა მოკვდეს;
ცოტა ვინმეა ყველაფრისთვის მზადა არის ვინაც.

ქორო

ატრევისის მოდგმავ ისევ მოვიდა
თავისუფლება სიავის შემდეგ.
აღსრულდა დიდი სულისკვეთება.

განმარტებები:

[57] ბერძნული მითოსის გმირები რომ სინამდვილეში არსებობდნენ, ამის რწმენა კლასიკური პერიოდის ათენელ მაყურებელსაც და თავად ტრაგედიათა შემოქმედებსაც ჰქონდათ. თუმცა ეს ხელს არ უშლიდა მათ საკუთარი შეხედულებებისამებრ შეეცვალათ ტრადიციული ამბავი. ელექტრა პირველად ესქილემ შემოიყვანა სცენაზე („ქოეფორები“), რამდენიმე ათეული წლის შემდეგ იგი სოფოკლეს თეატრში გამოჩნდა. სულ მალე კი, იმავე ეპოქაში ეს გმირი ევრიპიდემაც აამეტყველა თავის ტრაგედიებში („ელექტრა“, „ორესტესი“). „ელექტრას“ შინაარსში მოიაზრება აგამემნონის შვილთა შურისძიება ვერაგულად მოკლული მამის გამო. მკვლეელი მათივე დედაა. ამიტომ შვილები კლავენ დედას და ამ საქციელის მართებულებაში არც მათ და არც ქოროს ეჭვი არ ეპარება. ესქილეს „ქოეფორებში“ ხანგრძლივი ლირიული სცენა გახდა საჭირო იმისთვის, რომ დედის განგმირვის წინ ორესტესს ძალა მოეკრიბა. უკანასკნელ წამს ის მაინც შედრკება და მხოლოდ პილადესის (მეგობრის) წაქეზებით აღასრულებს შურისგების ჟინით შეპყრობილი ელექტრასა და აპოლონის ნებას. ევრიპიდეს თეატრში დაც და ძმაც დაბნეულნი და დათრგუნულნი არიან. ორესტესი გონსაც გადადის. სოფოკლეს „ელექტრაში“ ყველაფერი სხვაგვარად ხდება. დედის მკვლელობას აპოლონის ნება მფარველობს და ის უყოყმანოდ აღესრულება. სიუჟეტის გასართულებლად და დასაძაბად სოფოკლეს სხვა ინტიგა შემოაქვს: ეგისტოსის სასახლეში შესაღწევად ორესტესი და მისი აღმზრდელი მოიგონებენ ამბავს აგამემნონის ძის პითიურ თამაშებზე უეცარი გარდაცვალების შესახებ. თავზარაცემული ელექტრა მზად არის თავად იდიოს შური - მოკლას დედა. თუმცა მმასთან შეხვედრის ამაღელვებელი სცენის შემდეგ ელექტრა კვლავ ორესტესის შემწე ხდება; ის ზეიმობს იმას, რომ მალე მისი ცხოვრების მიზანი აღსრულდება. იგი თავად ამხნევებს მმას, დედის საწყალობელ მუდარას კი უარეს ექსტაზში მოჰყავს. ხოლო ორესტესს ამ საზარელი მკვლელობის შემდეგ ჰყოფნის ძალა, რომ ეგისტოსთან ჯერ ორაზროვანი დიალოგი გამართოს, შემდეგ კი ისიც გამოასალმოს სიცოცხლეს. სოფოკლეს ელექტრა შურისძიების მოლოდინში უკიდურესად და-ძაბულია: ის უკვე დიდი ხანია ელის მმას, რომელიც არადა არ ჩანს; ელექტრას დაც ჰყავს - ქრისოთემისი, რომლისგანაც შეიტყობს, რომ ეგისტოსს მისი სასახლიდან

მოშორება განუზრახავს; დედასთან კამათში კი ამბობს ყველაფერს, რაც წლების განმავლობაში სტანჯავდა მის სულს; ამბავი ორესტესის დაღუპვის შესახებ მას საბოლოოდ ანადგურებს, რასაც ემატება ქრისოთემისის უარი, იყოს მისი თანამოაზრე და თანამდგომი. ელექტრას განცდათა ბოლო აკორდია მისი მონოლოგი ძმის ფერფლით სავსე ურნასთან. იმდენად დრამატულია სოფოკლეს მიერ წარმოდგენილი ხასიათის ეს კულმინაციური სცენა, რომ მაყურებელიცა და მკითხველიც თანაუგრძნობს კიდეც ელექტრას. ის მარტო რჩება, გაუცხოვებული, მისი არ ესმის საკუთარ დასაც, დედა მტრულად არის განწყობილი, მამინაცვალი მის სიკვდილს თუ არა სასახლიდან გაძევებას ითხოვს. და აი, ელექტრა ამ დარღვეული სამყაროს აღდგენას საკუთარ თავზე იღებს. ის ძალას იკრებს, რათა საკუთარი და ღვთაებრივი ნების კარნახით სამყაროსეული ჰარმონია აღადგინოს. ამ შემთხვევაში დრამატურგის მიზანია აჩვენოს პიროვნების ხასიათი, რომელიც უკიდურესი დამაბულობის ფონზე ლამობს მოიპოვოს თავისუფლება და აღასრულოს „უმაღლესი მართალგანგება“ - იძიოს შური მამა-მეფის ვერაგული მკვლელობის გამო, რაც კეთილკანონიერების მფარველი აპოლონის ნების გამოვლინებაც იყო.

[58] ინაქოსის ქალიშვილი - იო, ქალიშვილი მდინარის ღმერთის, ინაქოსისა, რომელიც იყო არგოსის მეფეთა მამამთავარი.

[59] მგლის აგორა - თარგმანი პირობითია, რადგანაც ბერძნული ტერმინის „Λύκειος“-ის სხვაგვარი განმარტება ჩვენთვის უცნობია.

[60] მგელთამმუსვრელი - იგულისხმება აპოლონი.

[61] პელოპიდები - პელოფსის ჩამომავლები, აგამემნონისა და მენელაოსის წინაპრები.

[62] პითიური თამაშები - პანელინური ზეიმი, რომელიც იმართებოდა დელფოსის შემოგარენში.

[63] იტისი - პროკნეს ვაჟი. პროკნე იყო ათენის მეფის, პანდიონის ასული, რომელმაც შეიტყო რა საკუთარი მეუღლის ღალატის ამბავი, შეიშალა და მოკლა თავისი ვაჟიშვილი. გადმოცემათა თანახმად, პროკნე ბუღბუღად გარდაისახა და მუდამ უხმობს საკუთარ შვილს.

[64] ნიოზე - ტანტალოსის ასული, თებეს მეფის ამფიონის მეუღლე. მას შვიდი ვაჟი და შვიდი ქალიშვილი ჰყავდა. ამით გაამაყებულმა ქალღმერთ ლეტოს დასცინა იმის გამო, რომ მას მხოლოდ ორი შვილი - აპოლონი და არტემისი ჰყავდა. დედის ღირსების დამცველმა ღმერთებმა ისრებით განგმირეს ნიოზეს ყველა შვილი - ნიოზიდები. ამ უბედურებამ ნიოზე გააქვავა და ზევსმა იგი გარდასახა კლდედ, რომელსაც გამუდმებით სდის ცრემლები.

[65] იფიანასა - აგამემნონის ამ ქალიშვილის სახელი მოიხსენიება „ილიადაში“ (9,145) და ლუკრეციუსის პოემაში „საგანთა ბუნებისათვის“, სადაც იფიანასა გაიგივებულია იფიგენიასთან. სოფოკლე იფიანასას მხოლოდ ამ პასაჟში ახსენებს.

[66] კრისე - ადგილი დელფოსის მახლობლად.

[67] აქერონი - მიწისქვეშეთის მდინარე.

[68] საწყალობელი ხმა ... - პრიამოსის ასულის, მისან კასანდრასი, რომელიც ტროას ომის დაასრულების შემდეგ აგამემნონმა ჩამოიყვანა მიკენში.

[69] ავლისი - ნავსადგომი ბეოტიაში, საიდანაც საბერძნეთის ფლოტს უნდა გაეცურა ტროასკენ.

[70] ამფიარაოსი - წინასწარმეტყველი, მეუღლე ერიფილესი, რომელიც იყო არგოსის მეფის, ადრასტოსის და. როდესაც ადრასტოსი პოლინიკესის თხოვნით თებეს წინააღმდეგ სალაშქროდ გაეშურა, ამფიარაოსმა უარი თქვა ამ ომში მონაწილეობაზე. პოლინიკესმა მოისყიდა ერიფილე ძვირფასი ყელსაბამით და მან მოსთხოვა თავის მეუღლეს გაელაშქრა თებეს წინააღმდეგ მიუხედავად იმისა, რომ ელოდა დაღუპვა. ამფიარაოსმა ანდერძად დაუბარა თავის ძეს, ალკმეონს შური ეძია. ალკმეონმა შურისძიების გამო მოკლა დედა და ამით პატივი მიაგო მამის ხსოვნას.